პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ—65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კავკ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№ 184 (1039) პარასკევი 15 აგვისტო 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 4 კ. № 184 (1039

დღიური

— ეგვიპტეში მოძრაობა ინგლისელების წინააღმდეგ [illegible]
— მოლაპარაკება ოსმალეთსა და ბულგარეთს შორის შეწყდა
— რუმინეთში სდევნიან ყველა სოციალისტურ პარტიებს
— დაიხურა ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო კონგრესი
— გონდურასში (სამხრეთ ამერიკა) აჯანყება [illegible]
— სმირნაში (ოსმალეთი) ჩავიდა რუმინეთის სამი ნაღმოსანი
— იაპონიაში აფეთქების დროს 75 მუშა დაიღუპა
— კანადაში წრეულს ორჯერ მეტი მოსავალია ვიდრე შარშან.

ივერიელი ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოლიტიკა

ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლა- რაკება ახალ ურთიერთობას აძ- ვს დასაწყის საერთაშორისო და- იდებულებაში.

ძალიან დიდი ხნით ჯიუტობდენ პიტალისტური ქვეყნები და სულ ხსენილ დრომდე ლაპარაკის სად არ სცნობდენ საბჭოთა სპუბლიკების წარმომადგენლებს.

მაგრამ მათი ჯიუტობა უკვე გა- ა. მშრომელთა დიდი კავშირის ძლიე და აღმშენებლობითი ენე- ა აიძულებს მათ ეძიონ ჩვენთან ანხმების შესაძლებლობა, წავი- ნ ჩვენთან თანდათან უფრო მეტ ათმობებზე. ინგლის-საბჭოთა კავ- რის ხელშეკრულების დადება მო- ი დიდი გამარჯვებაა საბჭოთა სპუბლიკების და საერთაშორისო შათა კლასის.

პიტალისტური მსოფლიო გრძნობს, მ საერთაშორისო წონასწორობის მშვიდობიანობის აღდგენა შეუძ- ბელია საბჭოთა კავშირთან ნორ- მალური ურთიერთობის დამყარების რეშე. ის სცდილობს ეს ურთი- რთობა აღადგინოს რაც შეიძლება ავის მეტად ხელსაყრელ პირო- ბებში.

თავის მხრივ საბჭოთა კავშირის ავრობა სცდილობს ფხიზლათ იდ- ს მშრომელთა ინტერესების სადა- ჯოზე, ოქტომბრის რევოლიუციის მპოვართა საფუძვლებზე. რომ ზღვარი დაუდევს მადა აშლილ კა- პიტალისტურ მოთხოვნილებებს. თუ- ა არა ზარბაზნებით და იარა- თ, მაგრამ მაინც სწარმოებს და ღდება ბრძოლა კაპიტალისტური მოფლიოსა და საბჭოთა კავშირის რის. ამ ბრძოლაში საბჭოთა კავ- რის მხარეზეა საერთაშორისო მუ- ა კლასის და მთელი მსოფლიოს მრომელთა თანაგრძნობა.

როდესაც დადგა გადამწყვეტი მო- ტი ინგლის-საბჭოთა კავშირის ლაპარაკებაში და მას ჩაშლა მოე- და, ინგლისის მუშათა კლასის მოთხოვნებმა იქამდე მიაღწია, რომ თა პარტიის ზოგიერთმა დეპუ- ტატმა აქტიური ბრძოლა გამოუცა თავის მთავრობას და აიძუ- ლა მოლაპარაკების განახლებაზე. ერთოთ კონფლიქტის გადალა- და ხელშეკრულების დადე- დიდი სიხარულით შეხვდა ორც ინგლისის, ისე საბჭოთა ირის მუშათა კლასი. ეს ხელშე- ულება მართლაც ინგლისის და საბ- თა კავშირის მუშათა კლასის არჯვებას წარმოადგენს.

მაგრამ ინგლის-საბჭოთა კავშირის ლაპარაკების მნიშვნელობა განი- ვრება არა მარტო ამ ორ უდი- სახელმწიფოს დამოკიდებულების ლსაზრისით. საბჭოთა კავშირმა, ორც მომქმედ ძალამ მსოფლიო- , აუცილებლათ უნდა წამოაყენოს ისი შეხედულებები და პრინციპე- საერთაშორისო დამოკიდებულე- ში.

ამხ. რაკოვსკის დეკლარაციაში ლის-საბჭოთა კავშირის კონფე- ნციის უკანასკნელ სხდომაზე კი- ვ წამოყენებულია ის პრინციპები, რომელთა გატარებას მიზნათ ისახავს ბჭოთა მთავრობა საერთაშორისო თიერთობაში.

ერთა თვითგამორკვევის უფლების ფილი განხორციელება და საერთაშორისო განიარაღება აუცილებელი პირობაა მშვიდობიანობის დამყარებისათვის მსოფლიოში. ამ პრინციპებისგატარებას დიდიხანია სცდილობს საბჭოთა მთავრობა, მაგრამ მის განზრახვას მთელი თავისი ძალღონით ეწინააღმდეგებიან ბურჟუაზიული მთავრობები და ყოველი მათგანი დღესაც განაგრძობს თავის სამხედრო ძალების გადიდებას და ერთა უფლებების შელახვას.

საერთაშორისო ომის შემდეგ დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება ფაქტიურად სამხედრო მდგომარეობაში სტოვებს ქვეყნიერებას და ბურჟუაზიული მთავრობების შემდეგი პოლიტიკაც სრული გაგრძელებაა იმ ძალმომრეობის და მტაცებლობის, რომელსაც ადგილი ქონდა საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტის დროს.

გამარჯვებული სახელმწიფოების ბურჟუაზიული დიპლომატები მხოლოდ თავის ქვეყნის ბურჟუაზიის სტრატეგიულ და მტაცებლურ ინტერესებს უწევდენ ანგარიშს ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბების და ძველი სახელმწიფოების საზღვრების დამყარების დროს. ხალხთა დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებებს არავითარი ანგარიში არ ეწეოდა და ამიტომაც არის ისევ მოსალოდნელი ახალი განმანადგურებელი საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტა.

ყოველივე ამის წინაალმდეგ საბჭოთა მთავრობა იმ თავითვე ილაშქრებდა და ის ვერც იცნობს თავისთვის სავალდებულოთ ბურჟუაზიული დიპლომატიის გადაწყვეტილებებს და მათ მიერ მიღებულ „სამშვიდობო" ხელშეკრულებას. ამხ. რაკოვსკიმ კიდეც აღნიშნა თავის დეკლარაციაში ის უსამართლობანი, და ძალმომრეობანი, რომლებიც დაუშვა საერთაშორისო დიპლომატიამ იმპერიალისტური ომის დამთავრების შემდეგ.

საბჭოთა კავშირი ერთად-ერთი დამცველია საერთაშორისო მშვიდობიანობის, რაც მან დაამტკიცა სხვათაშორის თავის სამხედრო ძალების საგრძნობ შემცირებით და სრულ განიარაღებაზე თანხმობით. ამხ. რაკოვსკიმ კვლავ წამოაყენა ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციაზე საერთაშორისო განიარაღების საკითხი და ამ მიზნით საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა. ევროპის მთავრობას და კერძოდ ინგლისის „მუშათა" მთავრობას ერთხელ კიდევ ეძლევა საშუალება გამოამჟღავნოს თავისი „მშვიდობიანობის მოყვარულობა".

საბჭოთა კავშირის მთავრობა დღესაც მზათ არის განიარაღებისთვის და საერთაშორისო მშვიდობიანობის დაცვისთვის ყველა ზომების მისაღებათ. ამხ. რაკოვსკის მიერ წამოყენებული პრინციპები საერთაშორისო დამოკიდებულებაში მისაღებია მთელი მსოფლიო მუშათა კლასისთვის, რომელიც ამ საკითხშიც მხარს დაუჭერს საბჭოთა კავშირის მთავრობას.

ადრე თუ გვიან მსოფლიო მუშათა კლასი განახორციელებს იმ პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლოა ახალი მსოფლიოს შენება და ხალხთა შორის ნამდვილი მშვიდობიანობის დამყარება.

იმედის დაღუპვა

ჩვენ ვლაპარაკობთ ისევ გაკოტრებულ ქართველ მენშევიკების იმედის ღუპვაზე. ამაში არაფრის გულისთვის არ დაგვეთანხმება ჩვენ „პატივცემული" ნოე ჟორდანია და ერთხელ კიდევ იტყვის, რომ რაც არ უნდა ჰყვირონ ბოლშევიკებმა მენშევიკური პარტიის სრული გაკოტრების და დაღუპვის შესახებ, ჩვენ მაინც ცოცხალი ვართ, გვჯერვია სასწაულების მოხდენა—მკვდრეთით აღდგენა და მენშევიკური მთავრობისათვის სა- რამედ დარჩენა. დიახ, დიახ, საკვირველია, ბატონებო... მაგრამ საჭიროა ცოტა შესწორებების შეტანა.

პირველად არავის არ უთქვამს და ვერ შეეძლო ეთქვა, რომ ყველა მენშევიკები (ისინი ხომ უთვალავი იყვნენ) სათითაოდ მოკვდენ საქართველოში. არავითარი ასეთი მუსრის მომგვრელი ავადმყოფობა არ ყოფილა. „ჩეკა"-ც არც ისე მძვინვარებდა, რომ სრულებით აღარ დარჩენილიყო მენშევიკური მოდგმა. ეს „სამკაული" და განსაზღვრული რაოდენობით კიდევ მოიპოვება ჩვენში. აქ არაფერი გასაკვირიც არ არის. ის, რაც იქმნებოდა დიდი ღონისძიებებით ათეულ წლების განმავლობაში, შეიძლება მოსპობილ იქნეს საჭირო ერთი-ორი წლის განმავლობაში. ჩვენ მოხუცებულობის დროს ... გალალატობთ, შეგვიძლია ვიგონოთ, რომ ყოფილი მენშევიკების ყრილობა, რომელმაც ლად გამოაცხადა პარტია, შესდგა სწორედ ერთი წლის წინეთ—25 აგვისტოს). ასე რომ ნუ ვიჩქარებთ,—ასეთი მოუთმენლობა არ შეჰფერის „დარბაისელ", „აუჩქარებელ" მენშევიკებს. მოითმინეთ, ნუ ღელავთ, ბ-ნო ჟორდანია! **გახრწნა კიდევ გრძელდება**, კიდევ ბევრ არასასიამოვნო ამბებს გაიგებთ, კიდევ ბევრი სასოწარკვეთილება მოგელით. ასეთია თქვენი ხვედრი, რას იზამთ.

მეორე ცნობები საქართველოს მენშევიკების სიცოცხლის და ცხოვრების უნარიანობის შესახებ არ არის სწორი (თუ, რა თქმა უნდა, ვიმსჯელებთ საქმეების და არა ცარიელი სიტყვების მიხედვით) და დამყარებულია ალბად ყალბ ინფორმაციაზე. აქაური მენშევიკები ატყუილებენ შეუბრალებლად თავის უცხოულ გაქცეულ მეგობრებს, უცხოეთში მყოფი მეგობრები კი ატყუილებენ აქაურებს, ხელმძღვანელებენ რა, ალბად, პუშკინის სიტყვებით, რომ **„тьмы низких истин на дороже нас возвышающий обман"**. მაგრამ თვით ეს „მამაღლებელი ტყუილი" (Возвышающий обман) ხომ მაინც ტყუილია, და მათი პარტიის ცხოველმყოფელობის, ნახევრად მკვდარის გაცოცხლების საკითხში მენშევიკები ისევე მოტყუილებული არიან, როგორც თავიანთ ეხლანდელ მთავარ იმედებში, რომლებიც დაიმსხვრენ სამუდამოდ. რაში მდგომარეობდა მენშევიკების ეს იმედები? საგარეო, საერთაშორისო პოლიტიკის დარგში მენშევიკები აშენებდენ თავიანთ გეგმებს ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციის ჩაშლის შესაძლებლობაზე. ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების გარშემო დაირაზმა, დატრიალდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ემიგრაცია, შეიძრენ ყველა სპეციალური, მენშევიკების მიერ შეთითხნილი „საქართველოს დაცვის კომიტეტები" პარიზში, ჟენევაში და სხ. ადგილებში. დაიწყო მოლაპარაკება ერიოსთან, დუმერგთან, საძაგელ პიერ რენოდელთან და აგრეთვე ტფილისისათვის ცნობილ შევალიესთან, რომელიც, თურმე, ეხლაც ითვლება საფრანგეთში საქართველოს საქმეთა მინისტრად (მაშასადამე, რწმუნებულად ჟორდანიასთან. კარგი თანამდებობა!).

ყველა მათ, როგორც კეთილშობილმა ფრანგებმა, ყოველგვარი დახმარება აღუთქვეს „განაწამებ" საქართველოს. როგორ აასრულებენ ისინი ამ დაპირებას, ამას დაგვანახვებს მათი საქციელი მაკდონალდის შემდეგ... ხოლო ჩხეიძემ ჟენევაში წაიკითხა „მეცნიერული" მოხსენება უნივერსიტეტში და მწარედ სტიროდა, რომ დამპყრობელი ბოლშევიკები შეურაცხყოფას აყენებენ საქართველოს, რომელიც უძველეს დროიდან ცნობილია, როგორც ოქროს ვერძის ქვეყანა. ამიტომ კი... არ უნდა მისცეთ ბოლშევიკებს ოქრო, ვინაიდან ისინი ამ ფულს, რომელსაც მოითხოვენ სესხის სახით, მოიხმარებენ წითელი ჯარის გასაძლიერებლად, რაც ზიანს მიაყენებს მენშევიკების და ბურჟუაზიის „საერთო საქმეს". თუმცალა ჩხეიძე აცხადებს, რომ მას არ სურს რუსეთის საქმეებში ჩარევა სურს მხოლოდ პატარა საქართველოს გადარჩენა, მაგრამ ამ, უკაცრავად სიტყვაა, სოციალისტის მთელი სიტყვა მიმართული იყო იქითკენ, რომ ხელი შეეშალა ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმებისათვის. მაგრამ ეს მუხანათური, მოღალატური მუშაობა მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელების წინაალმდეგ უშედეგოთ დარჩა.

და ეს იმიტომ, რომ მაკდონალდს ეხლა [illegible] გაკოტრებულ ქართველ მენშევიკებთან. მდგომარეობა ქმნის შეგნებას, მაკდონალდი ეხლა არის არა უბრალო მაკდონალდი, კაცი მეორე ინტერნაციონალიდან, ამასწინანდელი სტუმარი ამასწინანდელი „დემოკრატიული" საქართველოსი, რომელსაც ახსოვს მენშევიკების პატივისცემა—პურ-მარილი, არამედ ის ლორდ მაკდონალდია, ინგლისის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე. ინგლისის საზოგადოების ინტერესების გულისათვის ის მოწოდებულია აწარმოვოს გონიერი პოლიტიკა, წინააღმდეგ შემთხვევაში თავისი „მუშათა" კაბინეტით შეიძლება მალე იქნას ჩამოგდებული და ჩავარდეს უპორტფელო, უმუშევარი, სამუშაოს მაძიებელი მინისტრის როლში. ხოლო ნოე ჟორდანიას შეუძლია სთქვას, რომ ასეთი მდგომარეობა არც ასე სახარბიელოა...

მაკდონალდმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირთან. მენშევიკებს ანგარიშები აერიათ. ეს საშინელი თავზარია მათთვის... მაგრამ არა მარტო მათთვის ხელსაყრელ საერთაშორისო პირობების იმედი ჰქონდათ მენშევიკებს,—ისინი იმედებს ამყარებდენ საქართველოს შინაურ მდგომარეობაზედაც.

გაერთიანდენ რა პარიტეტულ კონტრ-რევოლიუციის ყველა ძალებთან, შექმნეს რა ერთიანი „ეროვნული" ფრონტი სოციალ-დემოკრატიდან ბანდიტ ჩოლოყაშვილამდე (ამას არ უაჰყოფს დღეს თვით ნოე ჟორდანია, თუ ვიბრძოლებთ, უკეთესია ვიბრძოლოთ ერთიანი ფრონტითო) მენშევიკებმა დღის წესრიგში დააყენეს: გამოსვლები, აჯანყება. როდესაც ამას ვერ ახერხებდენ, ან არაფერი გამოდიოდა, ისინი სხვა დროისათვის სდებდენ ამ საქმეს, მაგრამ თვით ლოზუნგი უცვლელი რჩებოდა. ამას წინად მიიღეს ლოცვა-კურთხევა ჟორდანიასაგან. მან გამოგზავნა სადირექტივო წერილი: თუ არ მოხერხდა საერთო მაშტაბით, ბოლშევიკების წინააღმდეგ უნდა აჯანყდეს მხოლოდ ამიერ-კავკასია და „ჩამოიჭრას" იგი (ჟორდანია კარგი ყასაბია) რუსეთისაგან. დეე მთიულებმა და აზერბეიჯანელებმა დაიყყონ—თორემ მოგვატყუილებენ,—და ჩვენც მათ მივყვეთ. ასეთია ჩემი აზრი. ეს კარგი იქნება"... აზრი საუცხოვოა. ჟორდანიას დირექტივები დიდებულია, ამ საქმის შემსრულებლები კიდევ უკეთესი. იარაღებთან სპეციალური დავალებებით—ორგანიზატორები და მებრძოლები—ყველაზე წინ ნოე ხომერიკი, ცოტახნის შემდეგ ბენია ჩხიკვიშვილი, ვალიკო ჯუღელი და სხვები. ყველა ნაცნობ პირთა მთელი სერია, რომელთა ნაწილმა გაიცნო „ჩეკას" მისამართი, ნაწილი კი მალე გაიცნობს. რა თქმა უნდა არც ისეთი დიდი საქმეა „ჩეკას" ხელში ჩავარდნა. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ არალეგალურ მუშაობის ყველა მეთაურები და ხელმძღვანელები ერთმანეთზე მიყოლებით, თითქოს კალენდარულ ცხრილის მიხედვით, დაპატიმრებული იქნენ იმ ორგანოს მიერ, რომელიც ფხიზლად სდგას რევოლიუციის სადარაჯოზე, ამტკიცებს მენშევიკების სილატაკეს და სრულიადაც არ მოწმობს პარტიის სიცოცხლის უნარზე. განა ასე არ არის ბ-ნო ჟორდანია? ან, იქნებ თქვენ ამ შემთხვევაში ჯიუტურად არ დაგვეთანხმებით.

ამიტომ მოგვეცით ნება ვსთქვათ, რომ მენშევიკების ავანტიურისტული ცდები აუცილებელი მარცხით დასრულდება. მოწოდება შეიარაღებულ გამოსვლებისა და აჯანყებისაკენ არის უგუნო და უაზრო ავანტიურების გზა. ყველა ის, ვინც ხელს შეახებს საქართველოს მშრომელთა კეთილდღეობას, დაარღვევს მათ მშვიდობიანობას, რომელსაც 3 წელიწადზე მეტი იცავს საბჭოთა ხელისუფლება, სჩადის დიდ დანაშაულს. ყველა ის, ვინც საკუთარ სამინისტრო პორტფელის ინტერესებს უფრო მაღლა აყენებს მუშათა და გლეხთა ინტერესებზე და სისხლის ღვრას უმზადებს მას, სჩადის უდიდეს დანაშაულს ხალხის წინაშე. დეე ეს იცოდეს ყველამ. უიმედო და უგუნო ავანტიურას ჰკიდებენ ხელს მენშევიკები. ამას ბოლო უნდა მოეღოს...

„ჩვენ და ისინი" გესლიანათ სწერს ნოე ჟორდანია.

დიახ, ჭეშმარიტად—ჩვენ და ისინი...

ჩვენ ვართ მებრძოლ მუშათა კლასის პარტია, რომელიც მუშურ-გლეხურ მასებთან ერთად იზიარებს მათ გამარჯვების სიხარულს და დამარცხების სიმწუხარეს.

ჩვენ ვართ მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელიც არაჩვეულებრივ მძიმე პირობებში ეწევა ახალ საქართველოს მშენებლობას მისივე ტერიტორიაზე.

ისინი—ძველი წესწყობილების, ნაშთების და ნაძირალების, დრომოჭმულ მემამულეებისა და თავადებთან კავშირამდე დაქვეითებული ხალხის პარტიაა.

ისინი—საქართველოდან განდევნილი ცრუ-მთავრობაა, რომელიც იმყოფება საქართველოს ტერიტორიის გარედ, პარიზში, ლონდონში და კაპიტალისტურ მსოფლიოს სხვა პუნქტებში, მთავრობა, რომელიც ხრიკებს აწყობს მუშურ-გლეხურ რეჟიმის წინააღმდეგ.

მიხ. კახიანი.

პრესა

ბურჟუაზიის მესამე პარტია

ასე მონათლა ამხ. ზინოვიევმა მენშევიკები, მეორე ინტერნაციონალის პარტიები. ფაშისტები, „ლიბერალური" ბურჟუაზია და მენშევიკები, აი, ის „სამება", [რომელიც ხელიხელ ჩაკიდებული ცდილობს კაცობრიობის „ხსნას", ხალხთა შორის „მშვიდობიანობის" დამყარებას.

მენშევიკები გამოდიან ბურჟუაზიის აშკარა აგენტებად მუშათა კლასში და არა მარტო შიშის, არამედ „სინდისის" ქვეშ ერთგულად ემსახურებიან მას, ანელებენ პროლეტარიატის რევოლიუციონურ ენერგიას და სიტყვით, საქმით ხელს უწყობენ კაპიტალისტებს მტაცებლური გეგმების განხორციელებაში, რომლებიც მიმართული არიან მშრომელთა უფრო მეტი დამონებისაკენ.

მეორე ინტერნაციონალის პარტიების მხრით მუშათა კლასის გამცემლობის ფაქტები ურიცხვია. დღეს ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ მენშევიკების მიერ სულ ბოლო დროს ჩადენილ უდიდეს ღალატზე. მეორე ინტერნაციონალმა მთლიანად მხარი დაუჭირა ექსპერტების გეგმას და აღიარა ის ევროპის და მთელი მსოფლიო ცხოვრების გამაჯანსაღებელ მალამოდ.

ჩვენ კი ვიცით, თუ რაში მდგომარეობს ექსპერტების გეგმის მთავარი აზრი—ესაა მსოფლიო კაპიტალისტების შეთანხმება „მშვიდობიანი" გზით გერმანიის ხალხის უფრო დამონების და გაძვალ-ტყავების საქმეში.

ამრიგად, მეორე ინტერნაციონალი ამ საკითხში გამოდის მუშათა კლასის წინააღმდეგ ერთი მუჭა კაპიტალისტების სასარგებლოდ. მაგრამ მენშევიკები უსირცხვილოდ არწმუნებენ თავიანთ მიმდევრებს, რომ ექსპერტების გეგმა თითქო მიზნად ისახავდეს ომიანობის აცილებას, მსოფლიოს სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრების გაჯანსაღებას.

რუს მენშევიკების ორგანოში „სოციალისტიჩესკი (?!) ვესტნიკ"-ში, რომელიც ბერლინში გამოდის, მენშევიკი გარვი პირდაპირ წერს შავით თეთრზე:

„ექსპერტების გეგმის გატარება ცხოვრებაში მომასწავებელი იქნება ათი წლის ომის დასასრულის, მთელ მსოფლიოში სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრების თანდათანი გაჯანსაღების".

ამ „გამოსვლას" ეხება გაზ. „რაბოჩაია მოსკვა" (№ 178) და წერილში ზემოდ მოყვანილ სათაურით ამბობს:

„რომ თეთრ მენშევიკს გარვის შერჩენოდა ძველი სოციალ-დემოკრატიზმის რაიმე ნიშანწყალი, ის, რა თქმა უნდა, ვერ გაბედავდა საჯაროდ ეთქვა, რომ რომელიმე პროექტს რომელიც ექსპერტებისას, თუგინდ მეორე ინტერნაციონალის ექსპერტებისას, შეუძლია ომის აცილება. საჭიროა სრული გარდაშენება, რომ ასე უტიფრად იტყუო „ათი წლის ომის" შეწყვეტის შესაძლებლობაზე, თუ ექსპერტების (დოუესის) გეგმა მიღებულ იქნება!".

შემდეგ გაზეთი განმარტავს ექსპერტების გეგმას:

„განა ამერიკის დოლარის ჰეგემონიას ევროპაში შეუძლია მსოფლიოს დაკმაყოფილება და ევროპის მეურნეობის აღორძინება, და არა პირიქით?

სამეურნეო კეთილ დღეობა, რომელიც თითქო მოაქვს ევროპისათვის ამერიკის კაპიტალს, არის თეთრი მენშევიკის ბინძური და ლაქიური გამოგონება".

ამერიკის სესხს მოაქვს გერმანიის მუშათა კლასისთვის დამონება, გერმანიის მეურნეობის უფრო განადგურება:

„განა გალაშქრება 8 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ, სამუშაო ხელფასის შემცირება, გადასახადების გადიდება, ურომლისოდ გერმანიას არ შეუძლია სესხის გიგანტურ პროცენტების გადახდა,—ყველაფერი ეს არ ამწვავებს მუშების კლასთა ბრძოლას, არ აუარესებს გერმანიის ისედაც დაღუპვის კარამდე მისულ მეურნეობას?

განა რეპარაციები შემცირებულ იქნა? არ ხდება აქ როლების უბრალო გადანაწილება რეპარაციების მიღების საქმეში? საფრანგეთმა უშუალოდ ვერ შესძლო გერმანიისაგან რეპარაციის მიღება, უკეთესი არ არის მისი აღება ამერიკის კაპიტალის დახმარებით, ხოლო გერმანიის მუშათა კლასიდან მისი „აძრობის" დაკისრება ამერიკელ კომისარისათვის სოციალ-დემოკრატებთან ერთად მეორე ინტერნაციონალიდან"?

განსაკუთრებით აღმაშფოთებელია მენშევიკ გარვის მტკიცება, ექსპერტების გეგმის მიღებით საფუძველი ჩაეყრება პოლიტიკურ გაჯანსაღებასო.

„პოლიტიკური გაჯანსაღება კაპიტალის, ბურჟუაზიის ძალა-უფლების და მე-2-რე ინტერნაციონალის არსებობის დროს?!"

—მწარე დაცინვით შენიშნავს „რაბოჩაია პრავდა".

რა თქმა უნდა, ეს ზღაპარია, რომელსაც გულმოდგინეთ ავრცელებენ მენშევიკები, რათა შეცდომაში შეიყვანონ გულუბრყვილო მასსები და ააცდინონ ისინი რევოლიუციონურ ბრძოლის გზას.

დაუნდობელი ბრძოლა მენშევიკებთან, ბურჟუაზიის ამ მესამე პარტიასთან, მათი გავლენისაგან მუშათა კლასის სრული განთავისუფლება—ეს ძირითადი პირობაა ბურჟუაზიის დამხობის, მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვების.

ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმება

ამხ. რაკოვსკის დეკლარაცია

ლონდონი, 13 აგვისტო. მოგვყავს დეკლარაციის სრული ტექსტი, რომელიც რაკოვსკიმ გამოაქვეყნა ინგლის-საბჭოთა კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე.

კონფერენციის მიზნები

კონფერენციის პირველ სხდომაზე, მე მქონდა პატივი მომეხსენებია საბჭოთა დელეგაციის სახელით, რომ ეს კონფერენცია უნდა ისახავდეს მიზნებს, რომელიც კიდევ უფრო შორს უნდა მიდიოდეს, ვიდრე ინგლისა და საბჭოთა კავშირს შორის 6 წლის განმავლობაში წამოჭრილ საკითხების გადაჭრა. როგორც ინგლისის პრემიერმა აღნიშნა, კონფერენციის მიზანია ორ ხალხს შორის თანამშრომლობის დამყარება არა მარტო მათი საკუთარი, არამედ საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესის მიხედვითაც. ყველა მთავრობების მიზანია საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარება. მთელი მათი ძალ-ღონე უნდა იყოს შემართული იმ საშინელებათა განმეორების თავიდან აცილებისაკენ, რომელიც განიცადა ევროპამ და აზიის ნაწილმა, რომელსაც შეეწირა მრავალ მილიონიან ახალგაზრდათა სიცოცხლე მთელ მსოფლიოში. გამოსთქვამს რა მშრომელ მასების საერთო სურვილს, იმ მასების, რომლებსაც პირველ რიგში დააწვათ იმპერიალისტურ ომის მთელი სიმძიმე, საბჭოთა დელეგაცია აცხადებს, რომ იგი ბედნიერად სთვლიდა თავის თავს იმის გამო, რომ მოლაპარაკებას აწარმოებდა ინგლისის მუშათა კლასის წარმომადგენელ მთავრობასთან, რომელიც ილტვის საყოველთაო მშვიდობიანობის დამყარებისაკენ.

საყოველთაო მშვიდობიანობის პირობები

მაგრამ გამოცდილებამ შეასწავლა ხალხებს არ დაიჯერონ საყოველთაო მშვიდობიანობის აღდგენის შესაძლებლობა მანამ, სანამ თავიდან არ იქნება აცილებული ომის გამომწვევი მიზეზები. ხალხებმა იციან, რომ ყოველი ომის შემდეგ გამარჯვებულნი და დამარცხებულნი ლაპარაკობენ ზავზე, მაგრამ ზავის მხოლოდ ის ლოზუნგებია რეალური, რომელთაც თან ახლავს დაჟინებითი მეთოდიური ცდა თავიდან იქნეს აშორებული სოციალური და პოლიტიკური ანტაგონიზმი, რაც ომის მიზეზად ითვლება. ვ. წ. საზავო ხელშეკრულებით შექმნილი მდგომარეობა [illegible] ახალი კონფლიქტების შესაძლებლობით. ხალხთა ლტოლვა ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ დაუკმაყოფილებელი რჩება. ძველ დანგრეულ იმპერიების ადგილას წარმოიშვენ ახალი სახელმწიფოები, რომელთა საზღვრები გამორკვეულია არა ხალხთა თვით გამორკვევის პრინციპის მიხედვით, არამედ სამხედრო და სტრატეგიულ მოსაზრებებით. შექმნილი იყო ხელოვნური ორგანიზაციები, რომლებშიაც შედიოდა ეროვნულ უმცირესობათა დიდი რაოდენობა; ამის ერთად-ერთი მიზანი იყო, მიეცათ ამ ახალ სახელმწიფოებისათვის რაც შეიძლება მეტი ტერიტორია და ეკონომიური რესურსები, რათა ისინი სასარგებლო ყოფილიყვნენ მოკავშირეებისათვის მომავალ ომის შემთხვევაში.

მხოლოდ მთავრობების თავგამოდებულ დიპლომატიურ მუშაობით და თვით ხალხთა ძალ-ღონით შეიძლებოდა საერთაშორისო ურთიერთობის აღდგენა იმ საფუძველზე, რომელიც შეუძლებლად გახდიდა მომავალში ახალ კონფლიქტების წარმოშობას.

საბჭოთა მთავრობა არა თუ მზადაა, არამედ მოვალედ რაცხს თავისთავს გამოიყენოს მთელი თავისი გავლენა ევროპაში წონასწორობის დასამყარებლად თვითეული ხალხის დამოუკიდებელ არსებობის უფლების პატივისცემის საფუძველზე.

ბალკანეთის პრობლემა

ერთ-ერთი პრობლემად, რომელიც საბჭოთა მთავრობის აზრით ღირსია განსაკუთრებული ყურადღების, ითვლება სამხრეთ-აღმოსავლეთის, კერძოთ ბალკანეთის პრობლემა.

როგორც 1912—13 წლ. ბალკანეთის ომმა, ისე მსოფლიო ომმა არა თუ ვერ მოსპეს ახალ კონფლიქტების მიზეზები ბალკანეთში, არამედ კიდეც გაამრავლეს ამ კონფლიქტების რიცხვი. მაკედონიის, ფრაკიის, მთაშავეთის, ხორვატიის, სლოვენიის, უნგრეთის და დობრუჯის საკითხები უკვე დასმულია ხალხების წინაშე და მოითხოვს გადაჭრას. სანამ ეს საკითხები არ გადაჭრილა მშვიდობიანობა საფრთხეშია. საბჭოთა მთავრობის აზრით, პრინციპი, რომელიც დაიცავს ამ ოლქების და სახელმწიფოების მცხოვრებთა ინტერესებს და ამავე დროს გარდაქმნის მათ უფრო მძლავრ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად რაც თავისთავად იქნებოდა ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარების აუცილებელი პირობა, არის ფედერაციის პრინციპი. სამხრეთ-სლავიის ფედერაციის პრინციპის განხორციელება ფედერაციის ფარგლებში ავტონომიის მინიჭებით ხორვატიის, მთაშავეთის, მაკედონიის, დალმაციის და სერბიისათვის მოსპობდა კრიზისს, რომელიც არ შეწყვეტილა ამ სახელმწიფოს წარმოშობის მომენტიდან და რომელიც არ შეიძლება მოისპოს შეიარაღებული ძალის ხმარებით.

ბულგარეთისათვის ახალი დობრუჯის უკანვე დაბრუნება, რომელიც (დობრუჯა) რუმინეთის მთავრობამ ჩაიგდო ხელში 1913 წელს და ბულგარეთისათვის ეგეის ზღვაში თავისუფალი გასვლის უფლების მინიჭება შექმნის პირობს ერთის მხრივ საბერძნეთსა და რუმინეთის და მეორე მხრივ ბულგარეთს და საბერძნეთის შორის კეთილ-მეზობლურ დამოკიდებულებისათვის. სწორედ ასევე ხალხთა თვითგამორკვევის და ერთა თანასწორობის პრინციპის განხორციელების დროს თავიდან იქნება აცილებული კონფლიქტი ერთის მხრივ უნგრეთის და მეორეს მხრივ ჩეხო-სლოვაკიასა და რუმინეთს შორის.

განიარაღების საკითხი

საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ მხოლოდ განიარაღებისაკენ მიმართულ მტკიცე პოლიტიკას შეუძლია შექმნას ეროვნული საკითხის გადაჭრის პირობები არა ძალის დახმარებით, არამედ ხალხთა მასების ინტერესების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მთავრობამ მნიშვნელოვნად შეამცირა წითელი არმია, რომლის რიცხვი 600.000 კაცს არც კი უდრის, თუ ჩავთვლით ყველა შეიარაღებულ ძალებს იგი მზადაა წავიდეს კიდევ უფრო შორს განიარაღების გზაზე, თუ სხვა სახელმწიფოები აგრეთვე დასთანხმდებიან თავიანთი ქვეყნების განიარაღებაზე.

საბჭოთა დელეგაცია ბედნიერი იქნებოდა, მოესმინა ინგლისის დელეგაციისაგან, რომ ინგლისი მზადაა ახლო მომავალში მოიწვიოს განიარაღების საერთაშორისო კონფერენცია. საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, რომ ყველა მთავრობების ძალ-ღონის გაერთიანება ყველა მათ შორის აღძრულ სადაო საკითხების გადასაჭრელად, უნდა გახდეს საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ მუდმივ პირობად.

ერთა ლიგა

თუ საბჭოთა კავშირი ილაშქრებს ერთა ლიგის წინააღმდეგ, ის მხოლოდ იმიტომ, რომ ერთა ლიგა თავისი ორგანიზაციით წარმოადგენს მსოფლიო ომის შემდეგ დადებულ არასამართლიან ხელშეკრულებათა კონსოლიდაციის მეთოდს. ერთა ლიგამ დაადასტურა გამარჯვებულ სახელმწიფოების ტერიტორიების გაფართოება დამარცხებულთა ხარჯზე და პირველებს მიანიჭა კონტროლის უფლება მსოფლიო პოლიტიკაზე.

არც ერთი ქვეყანა არ დაზარალებულა ომისაგან ისე, როგორც საბჭოთა კავშირი, და არც ერთი ქვეყანა არ ისწრაფვის მშვიდობიანობისაკენ ისე, როგორც საბჭოთა კავშირი. მაგრამ საბჭოთა კავშირს არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც უძლური აღმოჩნდა უკუეგდო ძალადობის აქტები, რომელიც დღემდე გრძელდება ხელშეკრულების სახელით. ყველა საკითხები, რომლებიც ეხებოდა ხალხის საარსებო ინტერესებს და დამოუკიდებლობას, მათ თვითგამორკვევის უფლებას, გადაჭრილი იყო ერთა ლიგის გარეშე მოკავშირე სახელმწიფოების მიერ, მაშინ როდესაც ეროვნულ უმცირესობათა საკითხები, რომლებიც ერთა ლიგის წინაშე იყო აღძრული, გადაჭრილ იქნა არა ჩაგრულთა, არამედ მჩაგვრელთა მთავრობების ინტერესების მიხედვით.

საბჭოთა კავშირის და ინგლისის ურთიერთობა

გენერალურ ხელშეკრულების ხელის მოწერით საბჭოთა და ინგლისის დელეგაციებმა გადასდგეს დიდი ნაბიჯი ფინანსიურ ხასიათის სადაო საკითხების თავიდან აშორების გზაზე და ამგვარად გაადვილეს ორივე ქვეყნის შორის ეკონომიური თანამშრომლობის აღდგენა. საბჭოთა კავშირის მშრომელი მასსები შეგნებულად მიდიან დათმობაზე და ფიქრობენ, რომ ყოველი მათ მიერ გაღებული მსხვერპლი სათანადოთ იქნება დაფასებული ინგლისის მთავრობის და ხალხის მიერ. 6 წლის განმავლობაში, როდესაც შეწყვეტილი იყო დიპლომატიური ურთიერთობა ინგლისის და საბჭოთა კავშირის მთავრობებს შორის, საბჭოთა კავშირის საარსებო ინტერესები და ღირსება შელახული იყო მთელ რიგ უსამართლო, აღმაშფოთებელ აქტებით, რომლებშიაც ინგლისის მთავრობა იღებდა მონაწილეობას. მხოლოდ ამ აქტების შედეგების თანდათანობითი მოსპობა დაამტკიცებს საბჭოთა კავშირის ხალხებს ინგლისის მეგობრობას.

ბესარაბიის საკითხი

იმ საკითხებს შორის, რომელიც გადაიჭრა არა მარტო საბჭოთა კავშირის ინტერესების მიხედვით, არამედ საერთაშორისო სამართლის ყველა საფუძვლების დარღვევით, აღსანიშნავია მოკავშირე სახელმწიფოების და მათ რიცხვში ინგლისის მიერ მიცემული დასტური რუმინეთთან ბესარაბიის ძალით შეერთებაზე.

ვენის კონფერენციასთან დაკავშირებით მე უკვე მქონდა პატივი, საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულის სახით ლონდონში, წარმედგინა ინგლისის მთავრობისათვის მემორანდუმი ამ საკითხის შესახებ, რომელსაც მე ვურთავ კონფერენციის ოქმს, რათა დეტალურად არ მომიხდეს ამ საკითხის გაშუქება. მაგრამ საჭიროთ მიმაჩნია ინგლისის მთავრობის და მთელი ინგლისის ხალხის წინაშე განვაცხადო ენერგიული პროტესტი საბჭოთა კავშირის სახელით, იმ ძალდატანების აქტის წინააღმდეგ, რომელიც ჩადენილი იქნა საბჭოთა კავშირის მიმართ 1919 წ. 28 ოქტომბერს პარიზში ხელმოწერილ ხელშეკრულებით. მის ხელისმოწერის გამართლების მიზნით მოკავშირე სახელმწიფოების რწმუნებულებმა განაცხადეს, რომ მოკავშირეები ემყარებიან იმ ფაქტს, თითქოს „ბესარაბიის მოსახლეობამ გამოსთქვა სურვილი ბესარაბიის რუმინეთთან შეერთების შესახებ". ასეთ მტკიცების დროს მოკავშირეები ემყარებოდენ მხოლოდ და მხოლოდ რუმინეთის მთავრობის განცხადებას, ე. ი. იმ მხარისას, რომელიც დაინტერესებულია სიმართლის დაფარვით. თუ კი მოკავშირეები ოდნავად მოისურვებდენ აღედგინათ სიმართლე, ისინი დარწმუნდებოდენ, რომ რუმინეთის მთავრობამ მოტყუილებით დაიპყრო ბესარაბია დროებითი ოკუპაციის საბაბით და ვითომდა მას დასახული ჰქონდა ჰუმანიური მიზნები რუმინეთის ფრონტზე მებრძოლ რუსეთის ჯარებისათვის მიეწოდებია სურსათ-სანოვაგე, — მეორეს მხრივ „სფატულცერიის" რეზოლიუციის ზეგავლენით, რომელიც არ წარმოადგენდა მოსახლეობის ნების გამომხატველ დაწესებულებას, ის არ იყო პარლამენტი, არამედ დაწესებულება, რომელიც შექმნილი იყო სპეციალურად ოკუპაციის გასამართლებლად.

მოკავშირეების მიერ წამოყენებული არგუმენტები ბესარაბიის საკითხში, მოკლებულია არა მარტო კანონიერ, არამედ მორალურ ძალასაც. მოკავშირეებს ეგონათ, რომ შესძლებდენ ბესარაბიის ხალხის სურვილის უხეშად გათელვის მიჩქმალვას და მათ გაითვალისწინეს ხელშეკრულებაში, რომ რუმინეთის მთავრობა მისცემს ბესარაბიის მოქალაქეებს თავისუფლების და სამართლიანობის გარანტიას მიუხედავად რასიულ, რელიგიურ და ლინგვისტიურ სხვადასხვაობისა. მაგრამ მოკავშირეებს არ შეუძლიათ არ იცოდენ, რომ ამგვარი ვალდებულებანი ისეთ სახელმწიფოს მხრივ, რომელშიაც ეროვნულ უმცირესობათა დევნა შეადგენს სახელმწიფოებრივ დოქტრინას, რომელშიაც 40 წლის განმავლობაში ასეული ათასი მცხოვრები მოკლებული იყვნენ მოქალაქობრივ უფლებებს, მიუხედავად ამ სახელმწიფოს საზეიმო დაპირებებისა ბერლინის კონგრესზე, რომ მიანიჭებდა მათ სხვა მოქალაქეებთან თანასწორ უფლებებს,—წარმოადგენს მოტყუილების ახალ აქტს.

ეს დადასტურებულია ომის შემდეგ რუმინეთის მთავრობის მთელი პოლიტიკით ეროვნულ უმცირესობებისადმი, რომლებიც შეადგენენ მცხოვრებთა ერთ მესამედს დღევანდელ რუმინეთის სამეფოსას, რომლის პოლიტიკა გამოიხატა მათი ეროვნული კულტურის და თვითშეგნების დახშობაში.

ბესარაბიის ხალხის უფლებების შელახვის გარდა მოკავშირეებმა ჩაიდინეს აღმაშფოთებელი დარღვევა საერთაშორისო სამართლისა 1919 წლის ხელშეკრულების ხელის მოწერით.

აი საკითხი, რომელზედაც პასუხი ჯერ კიდევ არ გამოუძებნიათ მოკავშირეებს. რა უფლებით გადასწყვიტეს მათ ბესარაბიის ბედი? საერთაშორისო სამართალი არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა ერთს ქვეყანას შეეძლოს მეორე ქვეყნის ბედიღბალის გადაჭრა უკანასკნელის დაუთანხმებლად. ბესარაბია ეკუთვნოდა იმ სახელმწიფოს, რომელმაც მოკავშირეების გამარჯვების უზრუნველყოფის მიზნით ბრძოლის ველზე დასტოვა 3 მილიონი მსხვერპლი და თვით რუმინეთის დასაცავად გერმანიის ოკუპაციისაგან გაგზავნა რუმინეთის ტერიტორიაზე 400,000-ზე მეტი ჯარის-კაცი, რომლებიც შეადგენდენ რუსეთის არმიის რუმინეთის ფრონტზე იანვარში 1917 წელს. მსხვერპლი, რომელიც გაიღო რუსეთმა რუმინეთის დასაცავად ომის განმავლობაში განისაზღვრება დაახლოვებით 100,000 კაცით. რუსეთის სამი არმიის მთელი აღჭურვილი ქონება იქცა რუმინეთის მთავრობის ნადავლათ მთელი საწყობებით ბესარაბიის ტერიტორიაზე. ხელშეკრულება, რომელიც დასდეს მოკავშირეებმა, აძლევს რუმინეთს ბესარაბიასაც. მაგრამ, რუმინეთის მთავრობას თუნდაც რომ ჰქონებოდა რაიმე ისტორიული უფლებები ბესარაბიაზე, ის ორჯერ უარს ამბობდა მასზე ბესარაბიის სამი მაზრის მიმართ, რომელიც შეერთებულ იქნა რუმინეთთან ყირიმის ომის შემდეგ.

პირველად ამას ადგილი ჰქონდა, როდესაც რუმინეთმა მიიღო დობრუჯა ბერლინის კონგრესის დადგენილებით 1878 წ. და მეორედ კი 1913 წელს, როდესაც რუმინეთმა დაიკავა ბულგარეთის ტერიტორიის ახალი ნაწილი.

ხელშეკრულება მიუთითებს აგრეთვე რუმინეთის მოსახლეობის ეტნოგრაფიულ ნიშნებზე, რომლის მიხედვით რუმინეთის მოსახლეობა წარმოადგენს მკვიდრს ბესარაბიაში. თუ ის შეადგენს თუნდაც შედარებით უმრავლესობას ბესარაბიის ხალხის, რომელმაც გამოსთქვა რუმინეთთან შეერთების სურვილი, ეს მას შეეძლო ეთქვა თავისით, თუ მას საშუალება მიეცემოდა თავისუფლად გამოეთქვა თავისი აზრი. რუმინეთის მთავრობის მიერ ყოველთვის უარის თქმა პლებისციტზე ამტკიცებს იმას, რომ მას არ შეუძლია დაემყაროს ბესარაბიის თვით რუმინელ მოსახლეობის სიმპატიებზედაც, რომელიც სავსებით განწყობილია რუმინეთის ბატონობის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირს არა ერთხელ განუცხადებია და ის კვლავ აცხადებს, რომ 1919 წლის 28 ოქტომბრის ხელშეკრულებას არ აქვს ძალა. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ბესარაბია არის და რჩება ტერიტორიათ, რომელიც ეკუთვნის საბჭოთა კავშირს. მხოლოდ ბესარაბიის ხალხს შეუძლია შესცვალოს ეს ისტორიული ფაქტი და მას უნდა მიეცეს თავისი სურვილის გამოთქმის თავისუფლება, ბესარაბია კი დაცლილი უნდა იქნეს რუმინეთის ჯარების და ადმინისტრაციის მიერ. საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები მრავალი წლების განმავლობაში იბრძოდენ, მათ აურიცხველი მსხვერპლი გაიღეს სახალხო ნაციონალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით. მათ დაამხეს მეფის რეჟიმი და მათ შორის, რომელთაც რუსეთის რევოლიუციამ მიანიჭა თავისუფლება, იმყოფება ბესარაბიის ხალხიც. საბჭოთა დელეგაციის სახელით ეკითხებიან ბრიტანეთის დელეგაციას:—რა ნაბიჯის გადადგმა აქვს მას განზრახული იმისათვის, რომ გამოსწორებულ იქნეს უსამართლობა, რომელიც ჩადენილია საბჭოთა კავშირის და ბესარაბიის ხალხის მიმართ?

რუმინეთის მთავრობის კიდევ ერთი ძალადობა

მოკავშირეების და კერძოდ ინგლისის მთავრობის დახმარებით რუმინეთმა მიიღო სენ-ჟერმენის ხელშეკრულებით კიდევ სხვა ტერიტორიაც, რომელიც დასახლებულია უკრაინელებით, სახელდობრ ბუკოვინის ჩრდილოეთის ნაწილი. ეს ძალადობის აქტი რუმინეთის მხრივ ეწინააღმდეგება ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო რუმინეთს, რუსეთსა და სხვა მოკავშირეებს შორის 1916 წელს 4 აგვისტოს,—რუმინეთის ომში ჩარევის წინ.

ბესარაბიის ანექსია არღვევს იმ ხელშეკრულებას, რომელიც დასდო რუმინეთმა საბჭოთა მთავრობასთან 1917 წლის მარტში. საბჭოთა დელეგაცია გადაჭრით წინააღმდეგია ამ ძალადობის აქტების, რომელიც ჩაიდინა რუმინეთმა მოკავშირეების დახმარებით ინგლისთან ერთად. ბუკოვინის მცხოვრებლებს უნდა მიეცეთ თავიანთი ბედის თვითგამორკვევის უფლება.

რუმინეთის გლეხების სიმპატია საბჭ. კავშირისადმი

აცხადებს რა პროტესტს რუმინეთის მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირი სრულებითაც არ ხდის პასუხისმგებელს რუმინეთის ხალხს მმართველი პარტიების მოქმედებისათვის: რუმინელ გლეხების გულში სცოცხლობს ღრმა სიმპატია რევოლუციონური რუსეთის მიმართ, რომელმაც გადაიძრო ცარიზმის უღელი და მით ბოლო მოუღო მეფის მთავრობის ანექსიურ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავდა სტამბოლის დაპყრობას, და მასთან ერთად მოსპო საშიშარი საფრთხე, რომელიც მოელოდა რუმინეთის და სხვა ხალხებს, რომლებიც მოსახლეობენ ბალკანეთზე. რუმინეთის გლეხობა დიდი სიმპატიით უცქერის რუსეთის რევოლიუციას, ამიტომ ამ რევოლიუციის გამო რუმინეთის მთავრობა იძულებული იყო, თუმცაღა ნაწილობრივ, განეხორციელებინა აგრარული რეფორმა და მიეცა მიწები რუმინელ გლეხობისათვის.

აღმოსავლეთ-გალიციის ანექსია პოლონეთის მიერ

მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ გალიციის მოსახლეობის 70 პროცენტს შეადგენენ უკრაინელები და მხოლოდ 14 პროცენტს პოლონელები, მოკავშირეების ელჩთა კონფერენციამ პარიზში დაადგინა 1923 წელს შეერთებული ყოფილიყო აღმოსავლეთი გალიცია პოლონეთთან. ეს არის არა თუ ძალდატანება აღმოსავლეთ გალიციის ხალხის სურვილზე, არამედ აგრეთვე დარღვევა მოკავშირეების არა ერთხელ განმეორებულ დაპირებების, რომ მისცემდენ მის მოსახლეობას ეროვნული თვითგამორკვევის უფლებას. მიუხედავად ამ დაპირებებისა, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს 3 ნახ. მილიონის რაოდენობით მოკავშირეების დახმარებით დაადგეს უცხოეთის უღელი. მოკავშირეების გამარჯვების შემდეგ, რომელიც უნდა ყოფილიყო დემოკრატიის გამარჯვება მილიტარიზმზე, აღმოსავლეთ გალიციის უკრაინული მოსახლეობა ჩავარდა უფრო უარეს მდგომარეობაში, ვინემ ის იყო მაშინ, როდესაც ის ემორჩილებოდა ავსტრო-უნგრეთის მონარქიას. 1921 წელს 24 სექტემბერს რიგის ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დროს, საბჭოთა რუსეთმა და საბჭოთა უკრაინამ მეგობრულად განაცხადეს, რომ იცავენ აღმოსავლეთ გალიციაში ეროვნულ თვითგამორკვევას და თავიანთი პროტესტი განაცხადეს შარშან პოლონეთის მიერ აღმოსავლეთ გალიციის დაკავების დროს. საბჭოთა დელეგაცია იმეორებს ამ პროტესტს დღესაც. აღმოსავლეთ-გალიციის მდგომარეობა შესაძლებელია გართულდეს და ინგლისის მთავრობა, რომელმაც განაცხადა, რომ მზად არის მტკიცე საძირკველი ჩაუყაროს მშვიდობიანობას, მოვალეა დაეხმაროს გალიციის მოსახლეობას თვითვე გადასწყვიტოს თავისი ბედი. ამ აქტით ინგლისის მთავრობა შეასრულებს საზეიმო დაპირებას, რომელიც მან მისცა აღმოსავლეთ გალიციის მოსახლეობას.

სრუტეების საკითხი

სრუტეების შესახებ კონვენციაზე ხელის მოწერის დროს, საბჭოთა მთავრობამ ხაზი გაუსვა თავის [illegible] იმ სახელმწიფოების მიმართ რომლებმაც ხელი მოაწერეს ლოზანის ხელშეკრულებას, რომ მას არ შეუძლია განიხილოს ლოზანას შეთანხმება, როგორც მშვიდობიანობის განმამტკიცებელი აღმოსავლეთში. მდგომარეობას, რომელიც იყო ომამდე, როდესაც სრუტეები დახურული იყო უცხოეთის ფლოტებისათვის და ასევე იმ სახელმწიფოთა ფლოტებისათვისაც, რომლებიც მდებარეობენ შავი ზღვის ნაპირებთან, ჰქონდა ის უდიდესი უპირატესობა, რომ იცავდა შავ ზღვას საომარ მოქმედებისაგან ომის შემთხვევაში. სრუტეების გახსნა სამხედრო გემებისათვის საბჭოთა მთავრობას აიძულებს მიიღოს ზომები საბჭოთა კავშირის ნაპირების დასაცავად. შეთანხმება სრუტეების შესახებ, შეიარაღების გადიდების გამომწვევ მიზეზების მოსპობის მაგიერ, ქმნის ამ მიზეზებს.

ვინაიდან სრუტეების საკითხის ასეთი გადაჭრის ინიციატივა ეკუთვნის უმთავრესად ინგლისის დიპლომატიას, საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ ინგლისის ეხლანდელი მთავრობა მიიღებს მხედველობაში იმ თვალსაზრისს, რომელიც წამოაყენა საბჭოთა დელეგაციამ ლოზანას ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სრუტეებს.

ამხ. რაკოვსკის დეკლარაციის გარშემო

საბჭოთა კავშირი და ერთა ლიგა.

ლონდონი. 12 აგვისტო. ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე ამხ. რაკოვსკიმ, როგორც ვიცით, გამოაქვეყნა დეკლარაცია განიარაღების შესახებ.

ამ დეკლარაციის გამო პონსონბი შეეკითხა ამხ. რაკოვსკის, მზადაა თუ არა საბჭოთა მთავრობა იმის დასამტკიცებლად, რომ მას სურს შევიდეს ერთა ლიგის შემადგენლობაში, დანიშნოს ერთა ლიგის საბჭოში თავისი მეთვალყურე (ალბად, პონსონბის სახეში ჰქონდა, რომ საბჭოთა კავშირი ამ შემთხვევაში მოიქცევა ისე, როგორც ამერიკა, რომელსაც თავისი მეთვალყურეები ჰყავს სხვადასხვა ინტერნაციონალურ დაწესებულებებში).

რაკოვსკიმ უპასუხა, რომ საბჭოთა კავშირი მზადაა დანიშნოს თავისი მეთვალყურე, მაგრამ **არა იმის დასამტკიცებლად, რომ საბჭოთა რუსეთი ხდგამს ნაბიჯებს ერთა ლიგაში შესასვლელად, ვინაიდან „ერთა ნამდვილი საზოგადოების მეგობრები ბედნიერად უნდა სთვლიდენ თავს იმის გამო, რომ საბჭოთა მთავრობა რჩება ლიგის გარეშე“.** გარდა ამისა მეთვალყურის დანიშვნა, რაკოვსკის სიტყვით, დამოკიდებულია ორ პირობაზე: მისთვის დიპლომატიურ იმმუნიტეტის მინიჭება და შვეიცარიასთან იმ კონფლიქტის ლიკვიდაცია, რომელიც შეიქმნა ვოროვსკის მოკვლის გამო.

მეთევზეები კმაყოფილი არიან

მოიწონეს შეთანხმება

ლონდონი. 12 აგვისტო. გულლში მომხდარ არჩევნების დროს მიღებული იქნა რეზოლიუცია, **რომელიც იწონებს თევზის ჭერის შესახებ მიღებულ დებულებას, რომელიც შეტანილია ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებაში.** ინგლისის მეთევზეთა კავშირის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ხელშეკრულება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მურმანის ნაპირებთან თევზის ჭერის პირობებს.

რეაქციონერების კამპანია

ლონდონი. 12 აგვისტო. ინგლისის რეაქციონური პრესა განაგრძობს გაცხარებულ კამპანიას ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების წინააღმდეგ. რეაქციონური პრესა სცდილობს გააძლიეროს ოპოზიცია პარლამენტში ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ და აწყობს გამოსვლებს სესხის წინააღმდეგ ბანკირებს შორის.

„მორნინგ პოსტ“-ი ამბობს: განა საჭიროა კიდევ უფრო მეტი დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ რუსეთის კომპარტია ძალა-უფლებით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში, ვიდრე ის, რომ პრემიერი მოულოდნელ სრულ კაპიტულიაციაზე წავიდა კომუნისტური ზრახვების წინაშე?

სესხის საკითხის გამო „მორნინგ პოსტი“ აცხადებს: **„რაკოვსკი სცდილობს მოხერხებული მანევრებით დაიყვანოს ომამდე აღებული ვალი** მისი რაოდენობის მეოთხედამდე და ფიქრობს, რომ ინგლისის კრედიტორები მიიღებენ წარდგენილ პირობებს და უცხადებს მათ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერაფერს მიიღებენო“. **რაკოვსკი დასძენს აგრეთვე, რომ „კრედიტორები ვერაფერს ვერ მიიღებენ, თუ საბჭოთა კავშირს არ მისცემენ სესხსო.** ჩვენ ვფიქრობთ, რომ კრედიტორები სულერთია ვერაფერს ვერ მიიღებენ, ვინაიდან ხელმოწერილი ხელშეკრულება აღიარებს ვალების გაუქმების პრინციპს“.

„ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლები ძირიან-ფესვიანად ეწინააღმდეგება როგორც საერთაშორისო სამართალს, ისე ინგლისის კანონებს და ჩვეულებებს. გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობა მოუფიქრებლად დასთანხმდა სესხის გერანტიის მიცემაზე **და ამგვარად დაიკისრა მთელი პასუხისმგებლობა ინგლისის კრედიტორების პრეტენზიების დაკმაყოფილებისათვის.** „ტაიმსი“ დასძენს, რომ ინგლისის ინტერესები მსხვერპლად შეეწირა რევოლიუციონურ ორგანიზაციას, რომელიც აშკარად აცხადებს, რომ ხელშეკრულება წარმოადგენს მისი იდეების გამარჯვებასო.

პრესა შეთანხმების შესახებ

გაზ. „ვატანი“-ს აზრი

სტამბოლი, 12 აგვისტო. გაზეთი „ვატანი“ სთვლის ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმებას საბჭოთა მთავრობის გამარჯვებად. გაზეთის აზრით შეთანხმება გამოიწვევს კლასთა ბრძოლის გამწვავებას ინგლისში.

„საბჭოთა მთავრობაო—სწერს გაზეთი, მარცხნისაკენ ხრის მუშათა პარტიას, რაც გამოიწვევს მთავრობის დაცემას“.

რურის საკითხი ლონდონის კონფერენციაზე

გერმანია-საფრანგეთს შორის დაიწყო მოლაპარაკება რურის ევაკუაციის შესახებ

საფრანგეთში იმედი აქვთ, რომ კონფერენცია მიაღწევს შეთანხმებას

გერმანიის ნაციონალისტები მიუღებლად სთვლიან ერრიოს პირობებს

მომავალ კვირაში რეიხსტაგი განიხილავს კანონებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ექსპერტების გეგმასთან

რურის ევაკუაციის გარშემო

ოფიციალური მოლაპარაკება

ლონდონი 14 აგვისტო. გუშინ დაიწყო საფრანგეთ-გერმანიის შორის ოფიციალური მოლაპარაკება რურის სამხედრო ევაკუაციის შესახებ. ერრიომ შესძლო წინასწარ მიეღო ბელგიელებისაგან დაპირება დახმარების შესახებ. ბელგიელების მიერ დახმარების გაწევისათვის, ერრიომ აღუთქვა დაიცვას ბელგიის ინტერესები საფრანგეთ-გერმანიის კომერციულ ხელშეკრულების გამომუშავების დროს.

პარიზი 14 აგვისტო. გუშინ გაიმართა ხანგრძლივი თათბირი ერრიოს გენერალ ნოლლეს და ბელგიის მინისტრებს შორის ევაკუაციის საკითხის გამო.

ვადები

ნაუენი 14 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, რომ გერმანია რურის ევაკუაციის უკანასკნელ ვადათ აყენებს 1925 წ. 10 იანვარს. საფრანგეთის დელეგაცია თანახმაა დაიწყოს ევაკუაცია 1925 წ. 15 აგვისტოდან. „დეილი ტელეგრაფის“ აზრით, შესაძლებელია კომპრომისი—ევაკუაციის ვადათ დაინიშნება იმავე წლის 15 აპრილი.

ევაკუაცია და სესხი

ნაუენი, 14 აგვისტო. ლონდონის პრესა ხაზს უსვამს, რომ საფრანგეთის ჯარების დატოვება შეუძლებლად ხდის გერმანიისათვის სესხის მიცემას.

გერმანიის გადასახადების განაწილება

ნაუენი 14 აგვისტო. „ჰავასის“ სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის დელეგაციამ შეიმუშავა ახალი წესი გერმანიის სარეპარაციო გადასახადების გასანაწილებლად. განაწილების ახალი პროექტი წარედგინა კონფერენციის განსახილველად.

საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება

ექსპერტების გაწვევა.

ნაუენი. 14 აგვისტო. გერმანიის დელეგაციამ გაიწვია ლონდონში ბერლინიდან სამრეწველო ექსპერტები. უკანასკნელების გაწვევის მიზანია—დახმარების გაწევა საფრანგეთ-გერმანიის კომერციულ ხელშეკრულების დადების დროს.

წინასწარი შეთანხმების შესახებ.

პარიზი. 14 აგვისტო. კლემანტელის, შტრეზემანის და ლიუცერის შორის გამართულ თათბირზე საფრანგეთ-გერმანიის კომერციულ ხელშეკრულების დადების გამო, გადასწყდა მოწვეულ იქნას ორივე ქვეყნის ექსპერტთა კომისია წინასწარ შეთანხმების მისაღწევად. საბოლოო შეთანხმება ხელმოწერილი იქნება პარიზში ოქტომბერში.

მხოლოდ თავისთვის.

ნაუენი. 14 აგვისტო. გასაპათილებლად გერმანიის პრესის ცნობისა იმის შესახებ, რომ თითქოს საფრანგეთი თანახმაა, რათა „უპირატესობის მქონე ერის უფლება“ დამყარებულ იქნას საფრანგეთ-გერმანიის ხელშეკრულებაში ურთიერთობის საფუძვლებზე,—„პტი პარიზიენი“ იუწყება, **რომ საფრანგეთი მოითხოვს ასეთ უფლებას მხოლოდ თავისთვის.**

დოუესის გეგმის წინააღმდეგ

გერმანელ ნაციონალისტების დეკლარაცია.

პარიზი. 14 აგვისტო. ბერლინიდან მიღებული ცნობით, გერმანიის ნაციონალისტებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელშიაც აცხადებენ, რომ ლონდონის მოლაპარაკება იწვევს ხალხში თანდათან უფრო მეტ შიშს. დეკლარაციის თანახმად საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ გერმანიის დელეგატები ლონდონში, იმის მაგიერ, რომ მიაღწიონ ექსპერტთა გეგმის პირობების შემსუბუქებას, მიდიან დათმობიდან დათმობაზე და გადადიან ყოველგვარ საზღვარს. დეპუტატები აცხადებენ, რომ **ისინი არ იწონებენ დელეგაციის არც ერთ გადაწყვეტილებას, რომელიც არ ეთანხმება ნაციონალისტების ფრაქციის თვალსაზრისს.**

„დოიჩე ცეიტუნგ“ წინასწარმეტყველობს, რომ გერმანიის მთავრობა ვერ შეკრებს რეიხსტაგში უმრავლესობას, რომელიც აუცილებელია ლონდონის შეთანხმების რატიფიკაციისათვის

უკმაყოფილება გერმანიაში

ერრიოს პირობებს მიუღებლად სთვლიან

ბერლინი. 12 აგვისტო. გერმანიის ოფიციალური პრესა აცხადებს, რომ მიუღებელია ერრიოს წინადადება რურის სამხედრო ოკუპაციის ერთი წლით განგრძობის შესახებ.

„ცეიტი“ აღნიშნავს, რომ ასეთი ფორმულით შტრეზემანი ვერ გამოვა რეიხსტაგის წინაშე. ოფიციოზური პრესა აგრეთვე მიუღებლად სთვლის რურის ევაკუაციის საკითხის დაკავშირებას სამხედრო კონტროლის საკითხთან. კომპეტენტურ წრეებში უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილი პოლიტიკურ საკითხებში მიღწეული შეთანხმებისადმი, ვიდრე ეკონომიურ საკითხებში. კლემანტელის და სეიდუს წინადადებებს სავაჭრო ხელშეკრულების დადების გამო, მიუღებლად სთვლიან, ვინაიდან ეს წინადადებანი ლახავს გერმანიის მრეწველობის სასიცოცხლო ინტერესებს.

საფრანგეთის ოპტიმიზმი

პარიზი. 12 აგვისტო. **საფრანგეთის პრესა ოპტიმისტურად უცქერის ლონდონის კონფერენციის შედეგებს.** ზოგიერთი მემარჯვენე გაზეთებიც კი აღარ ილაშქრებენ მთავრობის წინააღმდეგ, რომლის ავტორიტეტი ძალიან გაიზარდა პარიზში ერრიოს გამგზავრების გამო. მიუხედავად ნაციონალისტურ პროტესტისა, რურის სამხედრო ევაკუაციის საკითხი მოწესრიგებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ გერმანია წავა დათმობაზე სავაჭრო ხელშეკრულების საკითხში. შტრეზემანმა წინადადება მისცა ერრიოს დასდოს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც საფრანგეთი და გერმანია ვალდებული იქნებიან ხელშეუხებლად აღიარონ ორივე ქვეყნის დღევანდელი ტერიტორიები. შეთანხმებაში მოწესრიგებული იქნება აგრეთვე იმ დანაშაულობათა საკითხი, რომელიც გერმანელმა მოქალაქეებმა ჩაიდინეს რურის ოკუპაციის დროს და გათვალისწინებული იქნება სამხედრო კონტროლის ფუნქციები.

კომპარტიის ორგანო „იუმანიტე“ ხაზს უსვამს, რომ ლონდონში სოციალ-დემოკრატების დახმარებით დადებული ხელშეკრულება მიმართულია გერმანიის პროლეტარიატის დამონავებისაკენ.

ექსპერტების გეგმის შესასრულებლად

რეიხსტაგის მოწვევა.

რომი. 14 აგვისტო. **რეიხსტაგი მოწვეული იქნება მომავალი კვირის დასაწყისში იმ კანონპროექტების განსახილველად, რომლებიც დაკავშირებულია ექსპერტთა გეგმასთან.**

ბერლინის გაზეთები ძლიერ თავდაჭერილად უცქერიან ლონდონის კონფერენციის მოსალოდნელ შედეგებს და იჭვის თვალით უყურებენ შეთანხმების შესაძლებლობას რურის ევაკუაციის შესახებ. გაზეთები ფიქრობენ, რომ საეჭვოა რეიხსტაგში ხმების ორი მესამედის მიღება შეთანხმების დასამტკიცებლად, ვინაიდან დაკავებული ტერიტორიის ევაკუაციის ვადის გაგრძელების შემთხვევაში დეპუტატები ხმას მისცემენ ექსპერტთა გეგმის მიღების წინააღმდეგ.

პრესის გამოძახილი

ლონდონის პრესა ევაკუაციის შესახებ

რომი. 14 აგვისტო. ლონდონის პრესა დაჟინებით მოითხოვს რურის აუცილებლად დაცლას, როგორც კი გერმანია მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო და ადმინისტრატიულ ზომებს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება იმედის დამყარება საერთაშორისო სესხის რეალიზაციაზე. მათ აზრს გაზეთები ასაბუთებენ მით, რომ სესხის ახალმა მეპატრონეებმა უნდა მიიღონ მტკიცე გარანტიები იმისა, რომ გერმანიის ხალხი შეასრულებს თავის ვალდებულებებს. ოკუპაციის გაგრძელება ასეთ გარანტიად ვერ გამოდგება.

ტრანსპორტის მუშათა კონგრესი

ფიმმენის განცხადება

ბერლინი. 12 აგვისტო. შესდგა ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო კონგრესის საბოლოო სხდომა, ინგლისის და გერმანიის დელეგაციები მიემხრენ გენერალურ მდივნად ფიმმენის არჩევას, მისი პირადს, ღირსების გამო, მაგრამ მოითხოვეს, რომ სასტიკი კონტროლი გაუწიოს მის პოლიტიკურ მუშაობას. ფიმმენმა განაცხადა, რომ ის არ შეზღუდავს თვის მსჯელობის თავისუფლებას, თუმცაღა აღიარებს, რომ დაარღვია წესდების ზოგიერთი ორგანიზაციული მუხლები. შემდეგ ფიმმენმა განაცხადა, რომ ორგანიზაციული მხრით ის სდგას ამსტერდამის ინტერნაციონალის ნიადაგზე, მაგრამ სამართლიანად მიაჩნია ამსტერდამის კრიტიკა მოსკოვის მხრივ.

„ვსთვლი რა ამსტერდამს ერთად-ერთ ინტერნაციონალად,—ამბობს ფიმმენი,—მე ვისურვებდი, რომ მის რიგებში შემოსულიყო მოსკოვის სული“.

ფიმმენი არჩეულია ერთხმად ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო გაერთიანების გენერალურ მდივნად.

ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ

ინგლისელი რაზმები მიდიან სუდანში.

ნაუენი, 14 აგვისტო. **სუდანში ინგლისის საწინააღმდეგო დემონსტრაციების გაძლიერების გამო, იქ იგზავნება ქაირიდან ინგლისის დიდი რაზმები.**

ადგილობრივ მცხოვრებლების გამოსვლა ირაკში.

პარიზი, 14 აგვისტო. ანგორიდან მიღებული ცნობით, მოსულის მახლობლად ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ტყვეთ წაიყვანეს ხაკიარის გუბერნატორი და დახოცეს მისი მხლებელი ჯარისკაცები.

მეფე გუსეინის პროტესტი.

ლონდონი, 12 აგვისტო. გეჯასის მეფემ გუსეინმა უარი სთქვა ინგლის-გეჯასის ხელშეკრულების ხელის მოწერაზე პროტესტის ნიშნად იმ მუხლის წინააღმდეგ, რომელიც აღიარებს, რომ ეხლანდელი მდგომარეობა პალესტინაში, რომელიც დაკავებული აქვთ ინგლისელებს, არ უნდა იქნეს შეცვლილი.

იმპერიალისტების მსხვერპლი.

ბერლინი, 13 აგვისტო. როგორც ქაირიდან იტყობინებიან, უკანასკნელი შეტაკების დროს ხარტუმში მოკლულია ოთხი და დაჭრილია 16 სუდანელი. მცხოვრებლებს შორის დიდი მღელვარებაა.

მღელვარების ტალღა.

ლონდონი, 13 აგვისტო. ხარტუმიდან მიღებული ცნობით, **შეიარაღებულმა ეგვიპტელმა კადეტებმა ძალით აიძულეს 2 ინგლისელი ოფიცერი შემოერთებოდენ მათ მანიფესტაციას ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ.** ინგლისის ჯარებმა მიიღეს რეპრესიული ზომები, განაიარაღეს კადეტები და დაიკავეს ის მოედანი, რომელზედაც ხდებოდა დემონსტრაციები.

იტყობინებიან აგრეთვე მრავალრიცხოვანი დემონსტრაციების შესახებ სუდანის სხვადასხვა ადგილებში.

რუმინეთის ამბები

რეპრესიები რუმინეთში.

ვენა. 12 აგვისტო. გალაცის (რუმინეთი) სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ გამართა საპროტესტო კრება პაციფისტურ დემონსტრაციების აკრძალვის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ კრება არ იყო გახსნილი და დარბაზში გამოცხადდა პოლიცია, რომელმაც დახურა კრება და დააპატიმრა მრავალი მონაწილენი.

ბოტოშანიაში დაპატიმრებული არიან კომპარტიის საიდუმლო კონფერენციის მონაწილენი. გაქცევა მოახერხა მხოლოდ პარტიის ხელმძღვანელმა დობროჯიანმა.

კომუნისტების „შეთქმულების“ შესახებ.

ვენა. 12 აგვისტო. რუმინეთის მთავრობა სთხზავს ცნობებს კომუნისტების „შეთქმულების“ შესახებ. რუმინეთის ოხრანკის ცნობით, სილისტრიაში აღმოჩენილია კომუნისტების საიდუმლო ორგანიზაცია, რომლის წევრებად, ვითომდა, ყველა ბულგარელებია.

ოხრანკამ მიმართა განათლების მინისტრს წინადადებით დახუროს ბულგარული სკოლები დობრუჯაში.

სხვა და სხვა ამბები

— **„კულტურის“ მცველები.** 17 აგვისტოს ვეიმარში (გერმანია) გენერალ ლიუდენდორფის თანდასწრებით შესდგება ნაციონალისტების დემონსტრაცია. ლოზუნგი იქნება—„გერმანიის კულტურის დაცვა“.

— **იტალია და სამხრეთ-სლავია.** დაიწყო მუშაობა შერეულმა კომისიამ, რომელმაც უნდა გამოარკვიოს იტალია-სამხრეთ-სლავიის საზღვრები.

— **რუმინეთის სამხედრო გემები სმირნაში.** სმირნაში (ოსმალეთი) ჩავიდა რუმინეთის სამი ნაღმოსანი.

— **ლოზანას ხელშეკრულების დამტკიცების შემდეგ.** სტამბოლიდან მიღებული ცნობებით, ოსმალეთის მიერ ლოზანას ხელშეკრულების დამტკიცების გამო, მოკავშირეთა ელჩები რწმუნების სიგელს გადასცემენ ოსმალეთის მთავრობას.

— **სუეცის არხის გაფართოება.** ეგვიპტის მთავრობამ სუეცის არხის გაფართოება მიანდო გოლცმანის (გერმანელ) ფირმას, რომელმაც ბაღდადის რკინისგზა გაიყვანა.

— **იაპონიის სესხი.** ამერიკაში დაიწყო იაპონიის სესხის რეალიზაცია.

— **ამერიკა უარს ამბობს.** ამერიკა უარს ამბობს მოკავშირეთა ფინანსიურ თათბირში მონაწილეობის მიღებაზე. ამერიკა უარს აცხადებს აგრეთვე მოკავშირეთა ვალების გაუქმებაზე.

— **მოსავალი კანადაში.** მოსავალი კანადაში მიმდინარე წელს 2-ჯერ ნაკლებია ვიდრე შარშან იყო.

პარტიული ცხოვრება

საქ. კომ. პარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა უჯრედებს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დააყენონ საკითხი

„თანამედროვე მენშევიზმის ტაქტიკა“

მოხსენებებისათვის იხელმძღვანელონ ს. კ. პ. თბ. კ-ის სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილების თეზისებით, რომელიც გამოქვეყნებულია „კომუნისტ“-ში, „ზარია ვოსტოკა“-ში, „რაბოჩაია პრავდა“-ში და „მარტაკოჩ“-ში.

ტ. კ. მდივანი: რუბენი.

ჭიათურის საგანგებო სამმართველოს მაღაროების კომუჯრედში

1 აგვისტოს ჩვენს უჯრედში მოხსენება გააკეთა ამხ. კ. ფუტკარაძემ პარტიაში ახლად მიღებულ კანდიდატთა პოლიტიკურ მომზადების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა პოლიტცოდნის შეძენის საჭიროება პარტიაში შემოსულ კანდიდატებისთვის. მოხსენების შემდეგ კომუჯრედმა დაადგინა კვირაში ორი დღე: ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით აწარმოოს ეს მეცადინეობა.

7 აგვისტოს დილით შესდგა კომუჯრედის კრება, რომელსაც თითქმის ყველა ამხანაგები დაესწრენ. ამხ. კ. ფუტკარაძემ განუმარტა კრებას, თუ რა არის კლასი და პარტია, შემდეგ დაიწყო საუბარი ლენინის და ნაროდნიკების შესახებ. ამ საკითხის გარკვევას მომხსენებელმა დიდი, დრო მოანდომა და ვრცლად გააშუქა ის.

8 აგვისტოს იგივე ამხანაგი აკეთებს მოხსენებას „ლენინი და ეკონომიზმი“-ს შესახებ. ამავე კრებაზე სხვა საჭირბოროტო საკითხებიც გაირჩა, რომელშიაც უჯრედის წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებდენ. კრებები მომავალშიაც რეგულიარულად იწარმოებს და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი უჯრედის წევრები საფუძლიანად შეითვისებენ ლენინიზმის შინაარს

დღემდე ჩვენი უჯრედი ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე, მაგრამ სამაზრო პარტკომის მიერ მიღებული ზომები შავიქვის მუშათა უჯრედების პარტ-მუშაობის გამოსაცოცხლებლათ მიზანს აღწევს.

ბ. ბაზლაძე.

ამხ. კ. რობაქიძის და ს. კორკოტოვის სახელობის კლუბი დ. ჩხარში

წარსულ წელს ანტირელიგიური კამპანიის ჩატარებაში ადგილობრივი კომკავშირის ორგანიზაციამ მიიღო აქტიური მონაწილეობა. დახურულ იქნა მთელს რაიონში ყველა ეკლესიები, რიცხვით 46; მხოლოდ ამ ეკლესიების გადაკეთება კლუბებათ ან სხვა კულტურულ დაწესებულებებათ უკანასკნელ დრომდე არ მომხდარა.

ამის წინათ კომკავშირის რაიონულმა კონფერენციამ გამოსთქვა აზრი, რომ დ. ჩხარის სომეხთა ყოფილი ეკლესია გადაკეთებულიყო ა. კ. კ. რაიონულ კლუბათ, რომელსაც კონფერენციამ უწოდა 1922 წელს 6 ნოემბერს დ. ჩხარში ბანდიტების მიერ ტრაგიკულად მოკლულ კომპარტიის წევრების ამხ. ამხ. კ. რობაქიძის და ს. კორკოტოვის სახელობის კლუბი.

დღემდე ხსენებულ ეკლესიის კლუბათ გადაკეთება სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი.

უკანასკნელათ კომკავშირის რაიკომმა მიაქცია სათანადო ყურადღება საკლუბო მუშაობას და დადგენილება კონფერენციისა მოიყვანა სისრულეში. ეხლა ამ კლუბში არის შემდეგი წრეები: 1. ლენინიზმის, 2. ლიტერატურული. 3. აგრონომიული, 4. დრამატიული და 5. ფეხბურთის. ამ წრეებში ღებულობენ მონაწილეობას როგორც კომკავშირის წევრები, ისე უპარტიო ახალგაზრდობაც. 1 წრეში ირიცხება 35 ამხ. მე-2-ში 42, მე-3-ში 25, მე-4-ში 27 და მე-5-ში 22 ამხანაგი.

თვითეულ წრეს ყავს თავისი ხელმძღვანელი. ლენინიზმის, ლიტერატურულის და დრამატიულ წრეებს ხელმძღვანელობენ კომკავშირის აქტიური წევრები. აგრონომიულ წრეს ხელმძღვანელობს აგრონომი კ. ზარნაძე. ფეხბურთის წრეს ხელმძღვანელობს ქუთაისის ბავშვთა კომჯგუფის წევრი. წრეების მეცადინეობას ყოველთვის ესწრება წევრთა უმრავლესობა, რომლებიც მეცადინეობაში დიდ ბეჯითობას იჩენენ. კომ-კავშირის საკლუბო მუშაობას მიაქცია ყურადღება ადგილობრივმა პარტკომმა და აღმასკომმა და გაუწია მის სათანადო დახმარება. პირველმა მისცა კლუბს მრავალი წიგნები ბიბლიოთეკისათვის, მეორემ კი 20 მანეთი, რომლითაც კლუბმა გამოიწერა ხუთი თვით ჟურნალი „ახალგაზრდა ლენინელი“ და გაზ. „კომუნისტი“.

მადლობის ღირსია როგორც ჩხარის რაიპარტკომი, ისე რაიაღმასკომი, რომლებიც დახმარებას უწევენ კომკავშირს საკლუბო მუშაობაში.

იმედია შემდეგშიც გაუწევენ დახმარებას ჩხარის რაიონის კომკავშირს ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

ს. სიმონგულოვი.

ბაქოს მუშების დროშა საფრანგეთში

დემონსტრაცია ბაქოს მუშების დროშით

პარიზი. 12 აგვისტო. მალონში (ჩრდილოეთ საფრანგეთი) გაიმართა ფეიქართა მასიური დემონსტრაცია იმ წითელი დროშის მიღების გამო, რომელიც გადასცეს მალონის ფეიქრებს ბაქოს მუშებმა. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 15,000 მეტი მუშა. დემონსტრანტებმა [illegible] გამოსულ ორკესტრის, [illegible] მარშის და [illegible].

მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის

საქართველოს ცაკთან არსებული მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომისიის მუშაობა

საქართველოს ცაკთან არსებული მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომისია არსებობს წელიწადი და 8 თვე. ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ დასმულა საკითხი მისი ლიკვიდაციის შესახებ, ვინაიდან საშვალების უქონლობა და აგრეთვე აპარატის სიდიდე არ აძლევდა კომისიას მუშაობის საკმაოდ გაფართოების საშუალებას. კომისიაში შედიოდენ შემდეგი დაწესებულებების წარმომადგენლები: ცაკის, პროფკავშირთა საბჭოს, ჯანმრთელობის სახკომის, კოოპერაციის, შრომის სახკომის, იუსტიციის სახკომის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, საქ. კომპარტიის ცეკას და თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების. კომისიის შემადგენლობიდან არჩეულ იქნა პრეზიდიუმი 5 კაცისგან, კომისიას თავმჯდომარეობდა ამხ. ლადო დუმბაძე. მუდმივ მუშაკად ითვლებოდა კომისიის მდივანი.

კომისიის სხდომები გაიმართა 12-ჯერ, პრეზიდიუმის—10-ჯერ. კომისია საშუალებებს ღებულობდა საქართველოს ცაკისაგან. მიღებულია სულ 5,500 მანეთი, აქედან დახარჯულია 2,500 მ. 22 წლის 10 იანვარს კომისიამ გახსნა დროებითი საცხოვრებელი სახლი, სადაც იგზავნებოდენ უპატრონო უმუშევარი ქალები. სახლში გატარდენ სულ 200 ქალი, აქედან ნაწილი გაიგზავნა სამუშაოზე, ნაწილი კი დაბრუნდა სამშობლოში. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი უწევდა ავადმყოფ ქალებს საექიმო დახმარებას.

გარდა ამისა, კომისია აკმაყოფილებდა ქალების შუამდგომლობას სათანადო დაწესებულებათა საშუალებით. სულ დაკმაყოფილებული იქნა 500 შუამდგომლობა. განცხადებებში ქალები თხოულობდენ უმთავრესად სამუშაოს, სამშობლოში გაგზავნას და იურიდიულ დახმარებას.

განსაკუთრებულ შემთხვევაში კომისია აძლევდა ქალებს ინდივიდუალურ ფულით დახმარებას.

1923 წ. 8 მარტს კომისიამ დროებით საცხოვრებელ სახლთან გახსნა სამკერვალო არტელი, სადაც ამჟამად მუშაობს 20 ქალი. ამავე დღეს გაიხსნა საქსოვი სახელოსნო, სადაც ამჟამად მუშაობს 4 მუშა-ქალი, გაიგზავნა მაზრაში 1 დაზგა და 8 საკერავი მანქანა სათანადო არტელების ორგანიზაციისათვის. ამიერ-კავკასიის ქალთა განყოფილებათა გამგეების უკანასკნელ თათბირზე ყველა სამივე რესპუბლიკის მუშაკები აღნიშნავდენ კომისიის აპარატის სიდიდეს და მოუწყობლობას და ამიტომ მიღებული იქნა გადაწყვეტილება აპარატის გამარტივების და 5 კაცისაგან კომისიის შედგენის შესახებ.

ამჟამად საქართველოს ცაკთან არსებული ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია შესდგება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, საქ. ახალგაზრდათა კომკავშირის, ცეკას ქალთა განყოფილების, სოციალ-უზრუნველყოფის სამმართველოს წარმომადგენლებისა და მდივნისაგან. თავმჯდომარედ არის ამხ. ხომერიკი.

კომისიის უკანასკნელ სხდომაზე 26 ივლისს, დამტკიცებულ იქნა მახლობელ 6 თვის მუშაობის გეგმა და აგრეთვე შედგენილი იქნა სათანადო ხარჯთ-აღრიცვა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცაკის მიერ. გეგმაში მთავარი ყურადღება ექცევა უმუშევარ ქალების ჩაბმას წარმოებაში. ამისათვის განზრახულია ჩულქების, ჩუსტების, სარეცხაო და სხვა ამგვარ არტელების მოწყობა; არტელების მოწყობას უკვე შეუდგა კომისია. მიღებულია ამისათვის სათანადო შენობა და აგრეთვე დამტკიცებულია ხარჯთ-აღრიცხვა.

განზრახულია საქსოვი მანქანის გადაცემა შინა-მრეწველობის სამმართველოსათვის, რისთვისაც კომისია უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას მიღების პირობების შესახებ.

იმის გამო, რომ დროებით საცხოვრებელ სახლში უმეტესად ისეთი ქალები ხვდებიან, რომელნიც არ არიან კვალიფიციური და გამოსადეგი არსებულ არტელებში, გეგმაში გათვალისწინებულია სახლთან სამკერვალოს კურსების გახსნა 20 ქალისათვის.

განზრახულია აგრეთვე დროებითი საცხოვრებელი სახლის მოწყობა, რისთვისაც უკვე შედგენილია სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა. ამას გარდა კომისიას დაკვეთილი აქვს ყოველდღიურად 10 უფასო სადილი იმ ქალებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან სამუშაოზე დაბინავებული და ამიტომ იძულებული არიან ხელი მიჰყონ პროსტიტუციას.

გეგმის მიხედვით სახლთან დანიშნულია ინსტრუქტორი, რომელიც შეასწავლის ქალებს სათამაშოების გაკეთებას; კომისიას აღებული აქვს დარაბა, სადაც გაიყიდება ზემოდ დასახელებულ სახელოსნოებში დამზადებული ნაწარმოები.

კომისიას გადაწყვეტილი აქვს აგრეთვე დახმარება აღმოუჩინოს გაჭირვებულებს სამშობლოში დაბრუნების საქმეში. ვინაიდან ქალები ხშირად საჭიროებენ იურიდიულ დახმარებას, კომისიამ გადასწყვიტა მიმართოს შუამდგომლობით იუსტიციის სახალხო კომისარიატს, რათა სახლთან გახსნილ იქნეს იურიდიული ცნობების მაგიდა და გამოგზავნილ იქნეს ამ მიზნისათვის სათანადო პირი.

გეგმაში გათვალისწინებულია აგრეთვე მატერიალური დახმარების აღმოჩენა იმ სახელოსნოებისათვის, რომლებიც გახსნილია და გაიხსნება მაზრებში უმუშევარ ქალთათვის. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ამ გეგმის ცხოვრებაში გატარება შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი საბჭოთა პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანოების დახმარებით; ამ ძნელი ამოცანის შესრულების საქმეში, რომელიც მიზნათ ისახავს იმ ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას, რომლებზედაც ყველაზე უფრო დიდ გავლენას ახდენენ უმუშევრობის და უპატრონობის შედეგები და არსებულ პირობების დეფექტები, კომისიას დახმარება უნდა აღმოუჩინონ დაინტერესებულმა საბჭოთა დაწესებულებებმა.

ოვანესიანი.

ეკონომიური ცხოვრება

ბაზრის მოწესრიგება

(ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომთან არსებული კომისიის მუშაობა)

ბაზრის გეგმაშეწონილი მოწესრიგებისათვის და სამეურნეო ორგანოებთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობის დასამყარებლად, ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის მოწესრიგების განყოფილებასთან მოეწყო სათათბირო კომისია, რომელშიაც მონაწილეობენ სახელმწიფო ვაჭრობის, კოოპერაციის წარმომადგენელნი და სხვა და სხვა კომისიები. კომისია მიზნად ისახავს სპეციალური საკითხების განხილვას, როგორიცა არის, მაგალითად,—ტრანსპორტის, პურის, ჩაის საკითხები და სხვა.

კერძო საბითუმო ვაჭრობასთან ბრძოლა

ამ კომისიებთან შეთანხმებით შინა ვაჭრობის სახ. კომ—ის მოწესრიგების განყოფილებამ გამოიმუშავა ზომები და გადასდგა შესაფერი ნაბიჯები, რათა ა.-კავკასიის ბაზრიდან განდევნოს კერძო მებითუმეები (ოპტოვიკები)—მანუფაქტურით, შაქრით, მარილით, ფქვილით, ნავთის პროდუქტებით და ასანთით მოვაჭრენი.

ყველაზე მეტად მიზანშეწონილი გამოდგა მთელი მანუფაქტურის, სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციისთვის გადაცემა და პირველ რიგში მათთვის აუცილებელი საჭიროების ასორტიმენტების მიწოდება. ხოლო კერძო ვაჭრობის შესახებ კი საჭიროდ იქნა ცნობილი, გადაეცეთ მათ ნაკლები მოთხოვნილების ასორტიმენტები და ისიც განსაზღვრული რაოდენობით.

კოოპერ. და სახელმწიფო სავაჭრო მაღაზიების გამოკვლევა

იმის გამოსარკვევად, თუ რა სახის მანუფაქტურა უფრო ესაჭიროება ამა თუ იმ კოოპერატიულ დუქანს და ან სახელმწიფო მაღაზიას, მოწესრიგების განყოფილებამ მოახდინა ხსენებულ ორგანოთა საანკეტო გამოკვლევა, ამ ღონისძიებით შესაძლებელი შეიქნა მოთხოვნილების ნორმის განსაზღვრა.

დუქნები ქალაქის სხვა და სხვა უბნებში

ფქვილით, შაქრით, მარილით და ასანთით ვაჭრობა დაეკისრა სახელმწიფო მაღაზიებსა და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომელთაც ცალკებით მოვაჭრეებისათვის და მომხმარებელთათვის საქონლის მისაწოდე

—13,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქის სხვა და სხვა უბნებში დუქნები. ამ დუქნებით დაქ- მელი თბილისი. დუქნები ს უნარიანობას ვაჭრობა- ად დღის წესრიგში სდგას დუქნების ქსელის გაფარ- მოწყობა ახალი გაერთია- ტიპის დუქნების, სადაც ს ფქვილით, შაქრით, მარი- ასანთით ვაჭრობა.

ასოფლო ბაზრობა

ხენებულ ღონისძიებასთან ერ- რობის მოწესრიგებისათვის შენელობა აქვთ აგრეთვე ბაზრობას და ქალაქის კარებს, რომელთაც რუ- იდი უნარი გამოიჩინეს და მოწყობაც დაიწყეს თბი- უშკოოპმა კოოპ. „ქართლმა,“ -მ და სხვამ.

მოწესრიგების განყოფილების მიზანია ამ ჟამად ასეთი ტიპის საწვრიმალო (ცალობით სავაჭროთა ქსელი გააფართოოს და მისცეს მათ ერთფეროვანი ხასიათი.

სასოფლო მეურნეობის პროდუქტები

ამასთან ერთად ქალაქებსა და საგარეკო ადგილებში სასოფლო-მეურნეობის პროდუქტებზე ფასების უწესოთ გადიდების გამო, გაფართოებულ იქნა საქონლის ნომენკლატურა კოოპერატიულ ორგანიზაციებში ბოსტნეულის, მწვანილის და ხილის შეტანით.

ხსენებული საქონლის მიწოდების საქმის მოგვარება იკისრეს მუშკოოპმა, წარმოკავშირმა, „ზაკტპომ“, „ქართლმა“ და „ბოეც“-მა.

კოოპერაცია

წარმოკავშირის საბჭოს სესია

უკანასკნელი სხდომა.

სკნელ სხდომაზე გარჩეულ იქ- ვი საკითხები და მიღებული ომისიების მიერ გამომუშავე- ეზოლიუციები და თეზისები ვა განყოფილებათა მუშაობის

ლუცია გამგეობის მოქმედების შესახებ.

ეობის მოქმედების შესახებ საბ- თხმად მიიღო შემდეგი რეზო- ია: მოკავშირის საბჭოს მე-2 სე- ოისმინა რა მოხსენება გამგეო- ლებაზე 1924 წლის 1 ნა- ადასტურებს მას და სცნობს ად დამაკმაყოფილებლად. საბ- ნიშნავს, რომ მიუხედავათ მთე- რიგი დამაბრკოლებელი პირობე- როგორიც იყო სასოფლო-სამეურ კოოპერაციის უფლებრივი მდგო- ობის გამოურკვევლობის ბრძო- სი არსებობისათვის, საკუთარი ების უქონლობა და სხვა, წარმო- ის გამგეობამ შესძლო ფართო ეო და საორგანიზაციო მუ- ს გადაშლა და შესრულება, რამ- ენი სოფლის მეურნეობის აღ- საქმეს ფრიად მნიშვნელოვა- ფები მიუტანა. გაძლიერდა ფართო მასების კოოპერა- დ დაკავშირება, დაარსდა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგო- სოფლის მეურნეობის მნიშვნე- ლ დარგებში—მებამბეობაში, მე- ობაში, მერძეობაში; გაფარ- ა სასოფლო-სამეურნეო კოოპე- ს სამეურნეო საქმიანობა და ლის ბრუნვა სოფლის მეურნეო- სპეციალური დარგების ნაწარ- ს ფართო დამზადება-გასაღების რით და სოფლის მეურნეობაში ეო საწარმოო იარაღებისა და ის მიწოდებით, გაუჯობესდა ო-სამეურნეო კოოპერაციის ური შესაძლებლობა ბანკებ- ერო კრედიტის გახსნით და, ს, გაძლიერდა აგრიკულტურუ- შაობა სოფლის მეურნეობის ების საქმეში.

არო საქმიანობის შესახებ.

ბჭომ დაამტკიცა „წ. კ.“ გამ- ის მიერ წარმოდგენილი გეგმა წესი სამეურნეო საქმიანობის ში სოფლის მეურნეობის პრო- ების გასაღების და სასკოლო ების მიწოდების შესახებ. ჭოს დადგენილებით თანახმად. ფლოსამეურნეო პროდუქტების დებას და გასაღებას საფუძ- ლ უნდა დაედვას კოოპერატიული იპი, რომლის თანახმად წევრები აბარებენ ორგანიზაციებს ავანსად საქონელს, რომლის რეალიზაციის შემდეგ ღებულობენ საქონლის სრულს ღირებულებას.

საკომისიო ოპერაციებიც ეკისრება ცენტ. კავშირს, რომელიც საქონლის განაღდების შემდეგ მთელს ამონაღებს თანხას უბრუნებს ორგანიზაციებს საორგანიზაციო ხარჯების გამოკლებით.

მიწოდების დარგში გამგეობა ეცდება მიიღოს სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მასალა გრძელვადიანი კრედიტის სახით მოკავშირე ორგანიზაციებზე გადასაცემად.

საფინანსო დარგის მუშაობის შესახებ.

საპაიო თანხის გასადიდებლად საბჭო ავალებს გამგეობას ერთი თვის განმავლობაში გამოარკვიოს მოკავშირეთა ორგანიზაციების ვალდებულება საპაიო თანხის შემოტანის შესახებ და მოსთხოვოს ორგანიზაციებს მისი გადახდა მოკლე ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამგეობას უფლება ეძლევა ორგანიზაციების მიმართ მიიღოს წესდებით გათვალისწინებული ზომები.

გრძელვადიანი სასოფლო-სამეურნეო სესხი.

საბჭომ მიიღო რა მხედველობაში, რომ სოფლის მეურნეობის აღდგენა შეიძლება მხოლოდ გრძელვადიანი სესხის მიღების საშუალებით, დაადგინა დაავალოს გამგეობას იშუამდგომლოს როგორც საქ. რესპუბლიკის, ისე საკავშირო უმაღლეს ორგანოების წინაშე სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგებისათვის გრძელვადიანი სესხის გაღების შესახებ.

სპეციალურ საკულტურო ფონდისათვის.

სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების ხელის შეწყობისათვის საბჭომ საჭიროდ დაინახა შემოღებულ იქნეს სასოფლო მეურნეობაზე ყოველწლიური გადასახადი შემდეგი სახით:

1. მევენახეობაში ყოველ დესეტინაზე—1 მანეთი.
2. მეთამბაქოობაში თვითეულ დესეტინაზე—1 მან. 50 კაპ.
3. მებამბეობაში თვითეულ დესეტინაზე—1 მან.
4. მეხილეობაში ერთი კაპიკი ყოველ ფუთზე.

ამ გადასახადებიდან შედგენილი ფონდი მოხმარდება ამ დარგების აღდგენის საქმეს.

მორიგი საკითხების შესახებ მიღებულ დადგენილებები გამოქვეყნებული იქნება ხვალის ნომერში.

ამტრედიის მთლიანი კოოპერატივი „განახლება“

მტრედიის მთელ კოოპერატივს წლის ისტორია აქვს. ის და- და რაიონულ კავშირის ნანგრე- ზე მაგრამ ცეკავშირის სამტრე- ის განყოფილების დახმარებით მან ვით განავითარა ოპერაციები. აქვს ორი საუკეთესოთ მოწყო- ი მაღაზიები სამტრედიაში და მში ექვსი განყოფილება: ფურ- ხე-ტყის ქარხანა, სასადილო და ის საწყობი. კოოპერატივის გამ- ბა საქონელს იძენდა თითქმის 90 ოცენტს ცეკავშირისაგან, რომლის ორტიმენტი არ იყო საკმაო სა- ფლო. ამან აიძულა გამგეობა დაე- ა უშუალო კავშირი ტრესტებ-

გეობამ შესძლო საფეიქრო სინ- ტისაგან აეღო 10.000 მანეთის უკეთესო ასორტიმენტის ფართლეუ- ბა, აგრეთვე რეზინოტრესტიდან, ტრეულობის სინდიკატიდან ა ამას შემდეგ კოოპერატივის. ობა გამოცოცხლდა. მან მიიპყ- ჩვენი ხალხის ყურადღება და ლის ბრუნვამაც შესამჩნევათ ა. ხალხი ყოველ დღე ეწერება პერატივში წევრათ. ორი მაღა- თითქმის ვერ აუდის ვაჭრობას. „განახლებას“ ყავს 800-დის ო 1.500 მანეთის საწევრო თან- მოლოთ უფრო ცუდათ არის თემების განყოფილებებში, ის და ჩხენიშის გამოკლებით. არც წევრათ ეწერებიან და რობაც ნაკლებია. ხარჯებს ვერ მაგ. ეწერის, იანეთის, კორ- ის და სხვა. გამგეობას გადაწყ- ილი აქვს დახუროს ეს განყოფი- ბი მანამ, სანამ ხალხი თვით არ ნებს მათ არსებობის აუცილებ- ბას.

იდან კოოპერატივს გახსნილი სასადილო, რომელშიაც ყო- დღიურათ 80 კაცი სადილობს, დღიური ვაჭრობა 100—120 [illegible] ბა სასადილოს გახსნა მეორე ადგილასაც რადგან იქ ვერ აუდის მოსადილეებს.

მთლიან კოოპერატივს აქვს სამტრედიაში პარკის ფარდული. მან წელს სამტრედიაში დაამზადა 1.300 ფუთამდის ნედლი პარკი. მან ააგო ხალხის დახმარებით გომის თემში ფარდული და აქაც დაამზადა 1000 ფუთამდის ნედლი პარკი. გომში და აქ დამზადებულია 2.300 ფუთი ნედლი პარკი გამოხარშული და ჩაბარებული ცეკავშირის განყოფილებაზე. გომში ფარდულის აგებამ დიდი შეღავათი მისცა ხალხს. საჭიროა მისი გამაგრება და დახმარება.

ამდენხანს კოოპერაციას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება, იმდენათ მთავრობისა და პარტ-ორგანიზაციების მიერ ადგილებზე, მე-XIII-ტე პარტ-ყრილობის შემდეგ სურათი შეიცვალა და მთელი გულისყური კოოპერაციის გამოჯანსაღებაზე არის მიქცეული. მის მაგარ ფეხებზე დაყენებას ლამობს ყველა.

ივნისში მოხდა სამი უჯრედის გაერთიანებული კრება, რომელმაც მოისმინა მთლ. კოოპერატივის გამგეობის 6 თვის მუშაობის ანგარიში. იმ პირობებში, რომელშიაც კოოპერატივის გამგეობას უხდებოდა მუშაობა: თანხების არ ქონა, საორგანიზაციო მუშაობის მოწყობა და სხვა მეტის გაკეთება არ შეიძლებოდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა გამგეობის მუშაობა სუსტათ იქნა ცნობილი და მიღებულ იქნა დადგენილება, რომ გამგეობა შევსებული იქნას საუკეთესო ამხანაგებით, მოხდეს შტატების ზედნარეთი ხარჯების შემოკლება. ამავე კრებაზე მოხდა არჩევნები კოოპერატიული სექციისა, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს კოოპერატიულ მუშაობას მთელს რაიონში. ამის შემდეგ—ერთი თვე გავიდა და ამ სექციის ნამუშევარი ჩვენ ჯერ არაფერი გვინახავს. საჭიროა მეტი უნარის გამოჩენა ამ საქმეში.

სამ. [illegible]

პროფკავშირებში

კულტმუშაობა რკინისგზელთა შორის

წერა-კითხვის უცოდინარობის ალკვეთა.

გასული სეზონის განმავლობაში კავშირმა გახსნა მცირე მცოდნეთა 4 სკოლა 89 მოსწავლით და წერა-კითხვის უცოდინართა 5 სკოლა 93 მოსწავლით.

კავშირმა მოახდინა წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვა როგორც წევრების, ისე კავშირის არა წევრებისა, რომლებიც ტრანსპორტზე მუშაობენ.

გამოირკვა, რომ სულ წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი უდრიდა 559 კაცს. მიღებულია ზომები, რომ მომავლიდან წერა-კითხვის უცოდინარობა სრულიად ალიკვეთოს. აღსანიშნავია, რომ წერა-კითხვის უცოდინართათვის გახსნილ სკოლებში წერა-კითხვის გარდა, მსმენელები ეცნობოდენ პროფესიონალურ მოძრაობასაც.

მსმენელები გადიოდენ აგრეთვე კავშირის წესდებას კოლექტიურ ხელშეკრულებას და შრომის შესახებ კანონებს.

საერთო პოლიტიკურ განმანათლებელი მუშაობა.

კლუბებთან არსებულ წრეების გარდა ადგილებზე, წარმოებებში კულტკომისიების მიერ დაარსებულია წრეები, კედლის გაზეთები, ქართული ენის შესასწავლი სკოლები და სხვა. გაზეთებზე 75 პროც. მეტს აქვს მოწერილი ხელი.

პროფპროპაგანდა და საგიტაციო მუშაობა.

როგორც პოლიტიკური, ისე პროფესიონალური ხასიათის კამპანიები კულტგანყოფილებამ ჩაატარა ყველა კლუბში, სკოლაში და ადგილოკომში. კულტგანყოფილებამ ჩაატარა აგრეთვე ორი კამპანია კლუბებში წვრად ჩარიცხვის სასარგებლოდ, რამაც დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო.

ფიზკულტურა

უკანასკნელ ხანებში კულტგანყოფილებამ დიდი ყურადღება მიაქცია ფიზკულტურას. მთელი მუშაობა სწარმოებს პირველი რაიონის სპარტაკის სავარჯიშო დარბაზში. მუშაობაში 240 მუშაა ჩაბმული. ესენი არიან უმთავრესად მთავარ სახელოსნოების, დეპოს მუშები და რკინის გზელთა მუშაკელები. სულ არსებობს 3 წრე.

საექსკურსიო მუშაობა.

კულტგანყოფილებამ სულ მოაწყო 15 ექსკურსია. ექსკურსიები ეწყობოდა საქართველოს ფარგლებში. სხვათაშორის ერთი ექსკურსია მოსკოვ-ლენინგრადშიც მოეწყო. სულ ექსკურსიებში 1208 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

მუშაობა ქალებს შორის.

კულტგანყოფილება ქალთა შორის მუშაობას პირველი რაიონის ქალთა განყოფილებასთან შეთანხმებით აწარმოებს, კლუბებში ქალებისათვის იმართება სავანგებო მოხსენებები და საერთო კრებები.

ყველა კლუბების გამგეობებში სხვათა შორის ქალების წარმომადგენლებიც შედიან.

მუშაობა ახალგაზრდობის შორის

ახალგაზრდობას აქვს დამოუკიდებელი კლუბი. მათ ხელმძღვანელს ინახავს კულტგანყოფილება. აღნიშნულ კლუბების მუშაობა კულტგანყოფილების მუშაობასთან შეთანხმებით სწარმოებს. შეთანხმების მისაღწევად კულტგანყოფილებაში შედის ახალგაზრდობის კლუბის გამგეობის წარმომადგენელი.

საქ. მონადირეთა კავშირის შესახებ

(სოხარუზი)

თბილისში არსებობს მონადირეთა საზოგადოება, რომელიც შეკავშირებულია ერთ მთლიან კავშირში („სოხარუზი“) და მუშაობას აწარმოებს საქართველოს მასშტაბით. მას პერიფერიებში რამოდენიმე ფილიალური განყოფილებებიც აქვს.

ბევრმა არც იცის კავშირის მიზანი და დანიშნულება. მისი სამოქმედო ასპარეზი არც ისე ვიწრო ფარგლებით შემოიხაზება. მაგალითად, მის მოვალეობაში შედის მდინარეების დაცვა, დინამიტების საშუალებით თევზების განადგურების წინააღმდეგ დაუზოგავი ბრძოლა და აგრეთვე ის, რაც უმთავრესია, მისი მუშაობა მტაცებელ ნადირთა ბრძოლაში გამოიხატება. ამ მიმართულებით მას სათანადოთ აქვს საქმე დაყენებული. ჰყავს საკუთარი დარაჯები მნიშვნელოვან ადგილებში ჩაყენებული, რომლებიც ამ მიმართულებით ერთგულათ ეწევიან მუშაობას.

ერთი წლის წინად კავშირი მეტად ცუდ და უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა. მას არ გააჩნდა საკმაო თანხა, რომ მით კოოპერატიულ ნიადაგზე მოეწყოთ პატარა სავაჭროც კი, კავშირის თითეულ წევრს საშვალება ჰქონებოდა იაფ ფასებში შეეძინა საჭირო საგნები და სხ.

ასეთი არანორმალური მდგომარეობა არსებობდა ამ ერთი წლის წინად. ამას წინად მოხდა მონადირეთა კავშირის საზოგადო კრება. დღის წესრიგში იდგა: გამგეობის მოხსენება გასულ წლის მუშაობის შესახებ და გაწმენდის საკითხი. დღემდის, როგორც ეს აშკარად გამოირკვა საზოგადო კრებაზე, კავშირში ბევრი ისეთი ელემენტები და უცხო პირები მოჰყოლიან, რომლებსაც არავითარი საერთო არ ჰქონდათ კავშირთან და რომლებიც თავის პროვოკატორულ მოქმედებით, ინტრიგანობით და [illegible] ცდილობდენ კავშირში დეზორგანიზაციის შეტანას. ამ ვაჟბატონების ცდა მიმართული იყო იქითკენ, რომ კავშირი რამენაირათ ხელში ჩაეგდოთ, რომ შემდეგ ის ბნელ ელემენტების სათარეშოთ გაეხადათ.

გამგეობის სახელით ვრცელი მოხსენებით გამოვიდა მოქ. ჩხიკვიშვილი და ამხ. ვ. ხუტულაშვილი. ამ უკანასკნელის გამოსვლამ ბნელ პირების უპასუხისმგებლო კორპორაციას ცივი ოფლი დაასხა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ აქ ერთი წლის განმავლობაში კავშირის მდგომარეობა წარსულთან შედარებით გაცილებით შესამჩნევად, საგრძნობლად გაუმჯობესებულია. დღეს კავშირს აქვს სათანადოთ მოწყობილი კლუბი და საკუთარი სავაჭრო მაღაზია კოოპერატივის მსგავსი, საიდანაც თითეულ წევრს კავშირისას საშვალება ეძლევა იაფ ფასებში შეიძინოს საჭირო საგნები. საზოგადო კრებამ სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო ძველი გამგეობის მუშაობა, მხოლოდ ის პირები, რომლებიც ლაყბობისა და ხელის შეშლის მეტს არასფერს აკეთებდენ კავშირში,—განდევნა თავის რიგებიდან.

მოხსენების შემდეგ არჩეულ იქნა ახალი გამგეობა, სარევიზიო კომისია და საამხანაგო სასამართლო.

გამგეობაში არჩეულ იქნენ: ს. გეგეჭკორი, კვანტალიანი, ვ. ხუტულაშვილი, ჩხიკვიშვილი, სუხიშვილი, ოკუჯავა, მესხიშვილი და ფანცხავა.

სარევიზიო კომისიაში: ცინცაძე, ბერიშვილი, ცარსიმაშვილი და სადრაძე. საამხანაგო სასამართლოში: დემიდოვი, პოლსკი, მელიქ-ნუბაროვი, დანელია, რაზმაძე და აგიევსკი. გამგეობის წევრებიდან მომქმედ პრეზიდიუმში: ვ. ხუტულაშვილი (თავმჯდომარე), ჩხიკვიშვილი-მახარაშვილი (მოადგილეთ), გულისაშვილი და კალესნიკოვი. მდივნათ—ბერბერაშვილი.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ახლად გადახალისებული კავშირი, რომლის საბჭოს შემადგენლობაში შედიან ჩვენი რესპუბლიკის პასუხისმგებელი მომუშავენი, რევოლიუციონური ნებისყოფით და პროლეტარული დისციპლინით შესძლებენ გადააქციონ ის ნამდვილ მშრომელ მასის საკულტურო-სასპორტო ორგანიზაციად, და ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, თუ კავშირის გენერალური გაწმენდა მოხდება, თუ შიგ ადგილი არ ექნება ისეთ გამქელ პირებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ იარაღის ტარების ნებართვის გულისთვის არიან კავშირში ჩაწერილნი და ისე კი აშკარად მუშურ-გლეხურ ხელისუფლების შეურიგებელ მტრებს წარმოადგენენ. სწორედ აქეთკენ უნდა მიაქციოს ახალმა გამგეობამ მეტი ყურადღება.

კავშირი უნდა გადაიქცეს ნამდვილ მშრომელ მასის სასპორტო ორგანიზაციად. ამას მოითხოვს დღევანდელი ხელისუფლების ინტერესი.

ძველი მონადირე.

მეცნიერება-ტექნიკა

მოკლე ტალღების საშუალებით შეიძლება ტელეფონით ლაპარაკი უდიდეს მანძილზე



მარკონი

ცნობილმა გამომგონებელმა მარკონიმ აღმოაჩინა ე. წ. მოკლე ტალღები, რომელთა საშვალებით შესაძლებელია ცნობების გაგზავნა დედამიწის უშორეს კუთხესთან.

მარკონი ემყარება იმ ორ ცდას, რომელიც უკანასკნელათ მოახდინა მან: მოკლე ტალღები დაგროვილია განსაკუთრებულ მილში და გატყორცნილია მხოლოდ ერთის მიმართულებით. დღემდის კი ტალღები იფანტებოდენ ღვთის ანაბარათ მთელ სივრცეში რგვალ-რგვალ წრეებათ და სუსტდებოდენ თანდათან.

ამ ახალი მეთოდის წყალობით პირველათ გახდა შესაძლებელი, რომ მჭიდროდ მოისმინონ დედამიწის ერთ კუთხეში წარმოთქმული სიტყვები დედამიწის მეორე კუთ-

„ეს შედეგები—განაცხადა მარკონიმ—მე მარწმუნებენ, რომ ჩქარა შესაძლებელი იქნება მოეწყოს მთელი რიგი მოკლე ტალღების მიმღებ სადგურებისა, რომლებიც თავის მხრივაც გაგზავნიან ასეთივე ტალღებს და მოეწყობა უსწრაფესი მოლაპარაკება დედამიწის უშორეს კუთხეებს შორის.

აგრეთვე ამ სისტემის მეორე უპირატესობაც უნდა იყოს აღნიშნული—დაუმატა მარკონიმ.

„რადგან მილში ჩაკეტილი ტალღები მიღებული იქნება მხოლოდ მიზანში ამოღებულ სადგურის მიერ ამგვარად საიდუმლოება ლაპარაკისა რამოდენიმეთ მაინც იქნება დაცული.

გარდა ამისა შეიძლება გამრავლდეს რიცხვი რადიო-სადგურებისა. იქიდან გაგზავნილი ტალღები აღარ აირევიან სხვა ტალღებში, როგორც ეს ხდებოდა აქნობამდის, როცა უმავთულო ტელეგრაფით აგზავნიდენ შორეულ ცნობებს ყოველის მიმართულებით.

„დედამიწა და საერთოდ ხმელეთი თუ ზღვა არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს, მაგრამ გასაოცარი და თანაც აქნობამდის აუხსნელი მოვლენაა, რომ ტალღები დაგზავნა უკეთესად ხერხდება უფრო ღამით—ვიდრე დღე.

„ატმოსფერაში გზის გასაკაფად—ტალღებს ყოველთვის არჩევენ სიბნელეში მყოფ ქვეყნებს.

მაგალითად: რამდენჯერმე არის შემოწმებული, რომ პოლდუდან სიდნეიში გაგზავნილი სიგნები მიდიან ყოველთვის დედამიწის [illegible] სადაც ღამე არის ხოლმე“.

საბჭოთა სასამართლო

ხე-ტყის ქარხნის თანამშრომლების საქმე

საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვის შემდეგ სასამართლო იწყებს ბრალდებულთა დაკითხვას.

ბრალდებულმა თელიამ,—ხე-ტყის ქარხნის № 3-ის ყოფილმა გამგემ დაწვრილებით უამბობს სასამართლოს სამსახურში მისი მიღების, მუშაობის და დაპატიმრების ამბავს. ქარხანაში მუშათ იგი მოწვეული იყო ტრესტის მიერ, როგორც სატყეო საქმის მცოდნე. წინეთ მას მრავალი წლის განმავლობაში უმუშავნია რამდენიმე ხე-ტყის სახერხ ქარხანაში. ქარხანა ჩაიბარა ტრესტის და მუშ. და გლ. ინსპექციის წარმომადგენელთა თანდასწრებით. ქარხნის საანგარიშო ნაწილი მაშინ სრულიად მოუწესრიგებელი იყო, ხე-ტყის მასალა ცოტა იყო. როდესაც ის ქარხნის მართვას შეუდგა საქმის წარმოება ქარხანაში ძლიერ მარტივი იყო. მასალა საღდებოდა ტრესტის ინიციატივით და ტრესტის ორდერების თანახმად, ხოლო ხე-ტყის მიღებისათვის იწერებოდა აქტები. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღებით ქარხნის ადმინისტრაციას ნება მიეცა ტრესტისაგან დამოუკიდებლათ ევაჭრა მასალით. მაგრამ ეს ვაჭრობა (მასალის გასაღება) სწარმოებდა ტრესტის მიერ გამომუშავებულ ნორმებით: მთელი მასალა განაწილებული იყო რამდენიმე ხარისხათ, რომლებისათვის ტრესტის მიერ დანიშნული იყო მტკიცე ფასები. მუშაობის გართულების გამო თელიას დასჭირდა ზედმეტი თანამშრომელი—კონტროლიორი, რომელიც მისი მოთხოვნის გამო დანიშნულ იქნა 1923 წ. მარტში. კონტროლიორი მეიერი ასრულებდა აგრეთვე გამგის თანაშემწის მოვალეობას. ნავთის, ზეთის, რკინისა და სხვა საქონლის დანაკლისის შესახებ ბრალდებულმა განაცხადა, რომ იგი გამოწვეული იყო მით, რომ ქარხნის საინვენტარო სიის შედგენა და ხე-ტყის მასალის გასინჯვა მოხდა მისი დაუსწრებლათ და სამი თვის დაგვიანებით მისი, თელიას, მოულოდნელათ დაპატიმრების შემდეგ. ბრალდებული თავიდან იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას იმ ცვლილებებისათვის, რომლებსაც ადგილი ქონდა ამ სამი თვის განმავლობაში. რაც შეეხება საბრალმდებლო დასკვნის იმ ნაწილს, რომელშიაც აღნიშნულია საანგარიშო დავთრებში ჩაუწერელი ცხრა ვაგონი ხე-ტყის მასალა, უკანასკნელი ქარხანას მოუვიდა ბრალდებულის შვებულებაში ყოფნის დროს ე. ი. მაშინ, როდესაც მის მოვალეობას ასრულებდა გამგის თანაშემწე მეიერი. შვებულებიდან ჩამოსვლის შემდეგ კი მესამე თუ მეოთხე დღეს თელია დაპატიმრებულ იქნა.

ბრალდებულნი ჯეირანოვი და არუთინოვი უარყოფენ თავის დანაშაულს.

ნოქარი არუთინოვი, რომელსაც ბრალად ედება შუამავლობა გამგესა და კერძო ვაჭრებს შორის აცხადებს, რომ ასეთ შემთხვევებს ადგილი არას დროს არ ჰქონია. კანტორაში ხშირი სიარული კი გამოწვეული იყო მისი მოვალეობის ხასიათით. უფროს ოსტატს ჯეირანოვს ბრალდებულნი ახასიათებენ როგორც გამოცდილს და პატიოსან მუშას.

ბრალდებული ოსეფიანცი,—ქარხნის ადგილკომის ყოფილი მდივანი,—უარყოფს თავის დანაშაულს. მუშებთან ქეიფს, მისი თქმით, იგი არ ეწეოდა. სადილობდა მათთან მხოლოდ საკუთარი ხარჯით და არა ძალდატანებით.

შემდეგ იწყება მოწმეთა დაკითხვა.

მოწმე მეიერი უამბობს სასამართლოს ქარხანაში თავის მუშაობის შესახებ. პროკურორის შეკითხვაზე,—სთელის თუ არა იგი დამნაშავეთ ბრალდებულ თელიას, ჯეირანოვს და არუთიუნოვს მათდამი წაყენებულ ბრალდებაში, მეიერი უარყოფით პასუხს იძლევა. მეტადრე ბრალდებულის ოსეფიანცის შესახებ მეიერი ამბობს, რომ მას მუშებისაგან (ოვაკიმოვისა და სტეფანიანცისაგან) გაუგონია, რომ ადგილკომის ყოფ. მდივანი ართმევდა მათ ჯილდოს ფულებს სამუშაოზე აყვანისათვის.

14 აგვისტოს სხდომა.

დილის სხდომა.

დილის სხდომაზე დაკითხულ იქნენ ტრესტის გამგეობის ყოფ. წევრი ხიდირბეგიშვილი, რომელიც უამბობს სასამართლოს ქარხნის მუშაობის და რევიზიის შედეგების შესახებ. მხარეების შეკითხვაზე ბრალდებულთა დანაშაულის შესახებ, ხიდირბეგიშვილი ამბობს, რომ თუმცა მას ქარხანაში შექმნილი პირობები ხელსაყრელათ მიაჩნდა შესაძლებელ „კომბინაციებისათვის“, მაგრამ ქონდა ამათ ნამდვილათ ადგილი თუ არა ამის დამტკიცება მას არ შეუძლია.

მოწმე ოვაკიმოვი,—დროებით შავი მუშა,—უარყოფს მეიერის მიერ ნაჩვენებს, თითქოს ბრალდებულ ოსეფიანცს გამოერთმიოს მისგან ჯილდო მუშაობაზე აყვანისათვის. მეიერის და ოვაკიმოვის ურთიერთ დაპირისპირებისას ორთავე განიმეორეს თავისი ჩვენება, მაგრამ ორივემ —ნაკლები სიმტკიცით და გარკვეულობით, ვიდრე ცალ-ცალკე.

მოწმე სტეფანიანცმა ბრალდებულ ოსეფიანცის შესახებ განაცხადა, რომ ბრალდებულს ძალიან უყვარდა ქეიფი. სხვა მუშებისაგან მას გაუგონია, რომ ოსეფიანცს „ხარჯი“ უნდა აეღო მუშებისაგან სადილის ან ვახშმის სახით, რომ მუშა მიეღო სამუშაოზე ან არ დაეთხოვნა. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც: ოსეფიანცი წინადადებას მისცემდა მუშებს მისი დაპატიმრების შესახებ, და თუ უკანასკნელთ ფული არ ექნებოდათ, ეტყოდა: „მოდით, ეხლა მე გადავიხდით და ფულის დარიგებისას კი „გამოგიჩრთქვათო“.

ამასვე ადასტურებს მოწმე თათარაშვილი, რომლის ჩვენებით ოსეფიანცი ნამდვილი გაიძვერა ყოფილა. იგი არა თუ მარტო ქრთამს იღებდა „ერთად სადილობის“ საბაბით, არამედ სცემდა და სტუქსავდა კიდეც მუშებს, როგორც ბატონი თავის ყმებს. „ეს ჩვეულება მას [illegible] ქონდა გადაქცეული“—ამბობს მოწმე.

—მერე, რათ არ განაცხადეთ ამის შესახებ კომკავშირში, სადაც ბრალდებული წევრათ ირიცხებოდა, ან სადმე სხვაგან?

— გვეშინოდა,—მეორე დღესვე გამოგვყრიდა სამსახურიდანო,—ამბობს მოწმე.

თელიაზე მოწმე უკმაყოფილებას არ გამოსთქვამს.

მოწმე ვანასიანცმა,—ქარხნის ერთერთმა კონტრაგენტმა განაცხადა, რომ ნისიათ ხე-ტყის მასალა მას იშვიათათ მიქონდა. იმ შემთხვევაში კი როდესაც ამას ადგილი ქონდა, ის ორი-სამი დღის შემდეგ უბრუნებდა ქარხანას ფულს. ქარხანა ამით არ ზარალობდა, რადგან ფულის კურსი იმ დროებში მხოლოთ კვირიდან კვირაზე იცვლებოდა. სამაგიეროთ ისიც ასესხებდა ხოლმე ფულს ქარხანას, როდესაც უკანასკნელს ეს დასჭირდებოდა. ამ ურთი-ერთ ნდობას ვანასიანცი ხსნის მით, რომ იგი ქარხნის მუდმივი და დიდიხნის მუშტარია.

შემდეგი სხდომა დანიშნულია საღამოს 5 საათზე.

მორჩილაძის და სხვათა საქმე

მოქ. მოქ. მორჩილაძის, ხუბულურის და ციგანკოვის საქმის გარჩევა, რომელიც დანიშნული იყო 14 აგვისტოსათვის, გადადებულია რამოდენიმე დაზარალებულის და მოწმეთა დაუსწრებლობის გამო. საქმის გარჩევის დღე ჯერ-ჯერობით გამოცხადებული არ არის.

ქრონიკა

— **ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის.** მთ. პოლიტ-განათლების მმართველობამ გადასწყვიტა: ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის (1927 წ.) მოახდინოს საქართველოში წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია.

— **ბაზრობა სოფლად.** ა.-კ. შინავაჭრობის კომისარიატმა გადასწყვიტა ა.-კ. კოოპერატიულ ორგანიზაციათა დახმარებით ყველა სოფლებში მოაწყოს ბაზრობა, გლეხების საქონლის განაღდების და მათთვის ფართლის და სხვა საჭირო საგნების მიწოდების მიზნით.

— **წყალსაზომების შემოწმება.** ქალაქის წყალსადენის სამმართველო ამ ჟამად აწარმოებს ქალაქში წყალსაზომების შემოწმებას მათი ვარგისიანობის გამოსარკვევათ.

— **ზაჰესის ქვე-სადგურის აგება.** 1 სექტემბრიდან დაიწყება ზაჰესის ქვე-სადგურის აგება.

— **[illegible] შრატი საქონლის ჭირის წინააღმდეგ.** ამ დღეებში ქ. აღმასკომი მოსკოვიდან და ხარკოვიდან მიიღებს საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველათ საჭირო რაოდენობის შრატს, რომელიც მიწად-მოქ. განყოფილების საშუალებით განაწილებული იქნება მაზრებში.

— **ლექციები სტატისტიკაზე.** საქ. ცენტ. სტატისტიკურ სამმართველომ გადასწყვიტა მასწავლებელთა გადასამზადებელ ყველა კურსებზე მოაწყოს ლექციები სტატისტიკის შესახებ. ლექციების მიზანია მასწავლებლები მოამზადოს კორესპონდენტებათ ადგილობრივ სტატისტიკურ მუშაობის საწარმოებლათ.

— **შრომის ორგანოების მომუშავეთა თათბირი.** საქ. შრომის კომისარიატი ოქტომბერში იწვევს რესპუბლიკის შრომის ორგანოების მომუშავეთა მესამე თათბირს.

შრომის კანონდებულებათა გამოცემა. შრ. კომისარიატი აწარმოებს 1921 წ. დღემდე ძალაში დარჩენილ შრომის კანონდებულებათა კოდიფიკაციას და მით ცალკე წიგნათ გამოცემის საქმეს.

— **შრომის კომისარიატის წარმომადგენელი.** მუშათა მთლიან კოოპერატივის სახალხო კვების განყოფილებასთან არსებულ დახმარების საბჭოში შრომის კომისარიატის წარმომადგენლებად დაინიშნა ამხ. ვ. ბერბერაშვილი და კ. კვირიკაშვილი.

— **მომხმარებელ საზოგადოების და კოოპერაციათა ორგანოების გაჯანსაღება.** მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეიმუშავა თეზისები, რომელშიაც აღნიშნულია ვრცლათ, თუ რა ღონისძიებანია საჭირო მომხ. საზ. და კოოპერაციათა გასაჯანსაღებლათ და გასავითარებლათ.

— **ა/კ. რკინის გზების** სამმართველოს დადგენილების თანახმად, 20 აგვისტოდან დაიწყება ყველა კომერციულ ნაწილში მომუშავეთა გამოცდები.

— **რკინის გზის შრომის ბირჟამ** 13 აგვისტოს აღრიცხვაზე აიყვანა 11 უმუშევარი, სამუშაოზედ გაიგზავნა 34 მუშა-მოსამსახური.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

პედ. ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა სია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი დაამთავრეს, ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდები მიმდინარე წლის გაზაფხულის სესიას და მიიღეს დროებითი დიპლომები შემდეგ პირებმა:

საფილოსოფიო დარგი. 1. ვაჩნაძე ნინო 2. გოკიელი ვალტმანი.

საფსიქოლოგიო დარგი. 1. საყვარელიძე თამარ, 2. ჩოგაძე მიხეილ, 3. წიკვურია ბესარიონ და 4. ხარაზაშვილი ფელიქს.

სიტყვიერების დარგი. 1. ნადარაძე პლატონ, 2. პატარაია ბართლომე, 3. აბესაძე მიხეილ, 4. კაკაბაძე მეთოდე, 5. ბუაჩიძე ნინო, 6. გაბიჩვაძე არისტო, 7. განჩილაძე სიმონ, 8. ვეფხვაძე ვერა, 9. თაბუკაშვილი ნეოფიტე, 10. მეფისაშვილი ნინო, 11. ფურცელაძე ნატალია და 12. ცაგარელი მიხეილ.

საენათმეცნიერო დარგი. 1. ჯიქია სერგი.

საისტორიო დარგი. 1. [illegible] აბიბო, 2. მელიქიძე სიმონ, 3. ნამორაძე ალექსანდრე, 4. [illegible] მარიამ, 5. [illegible], 6. ცაგურია მარიამ, 7. ქვანია კალისტრატე.

სამათემატიკო დარგი 1. გოკიელი ლევან.

ქიმიის დარგი. 1. აბუევა არუსიაკ, 2. ალშვანგ დავით, 3. ბაგდოევი ქეთევან 4. ბროცკაია ლუბა, 5 დუნიამალიან ვართუი, 6. ნიკინსკაია ოლღა, 7. პაპაონი ლუსიაკ, 8. რაბინოვიჩ, ენიგინი 9. წერეთელი თამარ.

საბუნებისმეტყველო დარგი. 1. ყარა მურზა ეველინა 2. ყოჩიაშვილი-ახმეტელი სოფიო და 3 კაპარავა ივანე. სულ 39 კაცი.

ხელოვნება

დავიდოვის გასტროლები.

თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში დაიწყო რუსეთის ცნობილი მსახიობის ვლადიმირ ნიკოლოზისძე დავიდოვის საგასტროლო წარმოდგენები. მცხოვანი მსახიობი უკანასკნელი მოჰიკანია „ლენინგრადის ალექსანდრინის თეატრის იმ ეპოქის, როდესაც ბრწყინავდენ ისეთი ტალანტები, როგორიც იყვნენ: სტრელსკაია, სავინა, ვარლამოვი და სხვ. ამ სახელოვან პირთა პლეადას ეკუთვნის ჩვენი სტუმარიც.

გასტროლიორმა მთელი თავისი ბრწყინვალე არტისტული მოღვაწეობა გაატარა ალექსანდრინის თეატრში. ეხლა მსახიობი ღრმა მოხუცია. მაგრამ თუ ვიმსჯელებთ მისი გუშინდელი გამოსვლის მიხედვით, უნდა ითქვას, რომ მსახიობის ტალანტი არ დაჩრდილულა, თითქოს დროც გვერდს უვლის ამ იშვიათ ნიჭს და არ ეხება მას თავისი გამანადგურებელი ხელით. დავიდოვი ეხლაც ითვლება რუსეთის კლასიკური რეპერტუარის (უმთავრესად ოსტროვსკის და გრიბოედოვის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად. ვლადიმირ დავიდოვის ნიჭის თავისებურობას წარმოადგენს სადა თამაში და ნათელი კომიზმი და მასთან ერთად განსაცვიფრებელი უნარი იმისა, რომ გამოვიდეს თავის თავიდან, თავის ინდივიდუალურ თვისებებიდან და სავსებით გარდაიქმნეს დრამატურგის მიერ შექმნილ სახედ. უდიდეს ნიჭთან ერთად მოსჩანს სერიოზულად დამუშავებული სკოლაც. ყველაფერი ეს მცხოვან მსახიობს აყენებს მსოფლიო დრამატიული თეატრების პირველ რიგებში.

ვლადიკინის „ომუტ“-ი არ წარმოადგენს დამთავრებულ დრამატიულ ნაწარმოებს. ეს უმეტესად მოძველებული კომედიაა რუსეთის ბატონყმობის პერიოდის ყოფა-ცხოვრებიდან, შინაარსის სიღრმეს მოკლებული ძველი კომედიების ყველა ნაკლულოვანებებით (სიგრძელე, ნაკლები მოქმედება, მონოლოგები და სხვ.), მაგრამ ამ არქაულ პიესაშიაც დავიდოვმა შექმნა მხატვრული სახე ძველი გაიძვერა მოხელე-მექრთამის, რომელიც იმყოფება თავისი აბეზარი ცოლის ფეხთ-ქვეშ, მიუხედავად მოხუცებულობისა. მიმიკური სცენა როდესაც ჩემერიცინი (დავიდოვის როლი პიესაში) ფიქრობს, თუ როგორ მოატყუილოს თავისი ცოლი—ეს არის აზრთა და განწყობილებათა მთელი გამმა. ეს უსიტყვო, მაგრამ ყველასათვის გასაგები და ნათელი ლაპარაკია. მთელი ამ გრძელი კომედიის მანძილზე, როგორც თაზის უდაბნოში, წითელი ზოლიეთ გადის დავიდოვის სცენები, ყველა მონოლოგები და დიალოგები მხატვრულ სიმაღლეზე სდგას. მსახიობი ყოველგვარი ტენდენციების გარეშე იზიდავს მაყურებლის ყურადღებას. და გაუწყვეტელ სიცილს და ტაშისცემას იწვევს აუდიტორიაში.

რასაკვირველია ყურადღების ცენტრში არის მცხოვანი გასტროლიორი. მთელი დასი ხელს უწყობს მწყობრ ანსამბლს, გარდა მსახიობ ჟარიკოვისა, რომელიც თამაშობდა ახალგაზრდა ოფიცრის როლს.

მცხოვან გასტროლიორს მიესალმენ ხელოვნების მუშაკთა კავშირის, რუსეთის დრამატიული დასის, ქართული, თურქული, ახალი თეატრების და სხვ. წარმომადგენლები. მისალმება ატარებდა გულწრფელ ხასიათს და იწვევდა ენტუზიაზმს.

ბ. ბ.

პროვინციაში

სოფ. სვირის შეფი (ქუთაისის მაზრა)

წარსული წლის აგვისტოში ქუთაისის მაზრის პარტკომთან არსებულ საშეფო კომისიის მიერ სვირის თემის შეფათ დანიშნულ იქნა ქუთაისის რაიონის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირი, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია თემის მცხოვრებთა შორის.

ადგილობრივმა აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. ჯუღელმა წარსული წლის 16 აგვისტოს სთხოვა შეფს თემში ტელეფონის ქსელის გაყვანა. შეფმა მისცა თემს წინადადება, რათა ერთი თვის განმავლობაში შეეძინათ საჭირო ბოძები.

ალმასკომმა დაამზადა ბოძები, მაგრამ ისინი დღესაც გამოუყენებლათ ლპებიან, ტელეფონის ხაზის გაყვანის შესახებ დღესაც არაფერი ისმის.

25 ივლისს შეფმა გაუგზავნა დეპეშა სვირის რაიაღმასკომს, რომ 26 ივლისს სვირში მოდიან შეფის წარმომადგენლები დრამატიული წრესთან ერთად უფასო წარმოდგენის გასამართავად.

დაპირება არც ეხლა იქნა შესრულებული და გლეხობამ ტყუილად უცადა თავის შეფის ჩამოსვლას.

შეფის ასეთი მოქმედება ცუდ განწყობილებას ჰქმნის გლეხობაში და საჭიროა მას ადგილი არ ექნეს.

შაველასპირელი.

სოფლის მუშაკთა ცხოვრება

რუისი (გორის მაზრა)

რუისის რაიაღმასკომში, მილიციაში, რაიკომში და კოოპერატივში მსახურობს ათი კაცი არა ადგილობრივი მცხოვრებნი, რომლების ცხოვრებაც ყოველმხრივ აუტანელია. მაგრამ უმთავრესი, რაც ყველას არა სასიამოვნო მდგომარეობაში აყენებს—ეს უბინაობაა. აღმასკომის ორი თანამშრომელი და კოოპერატივის გამგე ცხოვრობენ ერთ პატარა ოთახში; ოთახი ფიცრულია, გაუმართავი და ყოველმხრიდან ფარღალალა, წვიმაც უხვად ჩამოდის.

რაიკომის ინსტრუქტორი და ერთი აღმასკომის თანამშრომელი სცხოვრობენ ერთ პატარა ქოხში: ქოხი ძალზე ნესტიანია, დღე და ღამე კარები და ფანჯრები ღიაა და რაც უნდა ქარიშხალი და წვიმა იყვეს, მათი დახურვა შეუძლებელია, რადგან ოთახი ბაღში სდგას, ბაღი მალ-მალე ირწყვის და წყალი იჟურება ოთახში ჭაობივით. ეს მდგომარეობა (კარების და ფანჯრების დაუკეტაობა) გაგრძელდება ალბათ ზამთარშიც.

აღმასკომის ერთი თანამშრომელი სცხოვრობს ვერის ნახევრის სიშორეზე აღმასკომიდან. მილიციის უფროსი, თანამშრომლით და მილიციონერებით სცხოვრობს მილიციის ბინაში, ერთ ოთახში და უბრალო საწოლებსაც კი მოკლებულნი არიან. ცუდათ არის საზრდოობის საკითხი. ერთი სიტყვით საბჭოთა მოსამსახურეთა და პარტმუშაკების მდგომარეობა მეტად უნუგეშოა. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს და მიღებული იქნეს ზომები ამ საჭირო მუშაკთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

ხერნარი.

რატომ დაანგრიეს სკოლის შენობა?

ჯერ კიდევ 1919 წელში სოფელ ქვემო ნიჩბისში (გორის მაზრა, კავთისხევის თემი) კონსტანტინე ციციშვილის ხალხმა ჩამოართვა სახლი. ამ სახლში გახსნეს სკოლა ორ განყოფილებიანი, აქვე იყვენენ მოწვეულნი ორი მასწავლებელი ქალი, ეს მასწავლებლები ამავე სახლში სცხოვრობდენ; სასწავლებელში დაიარებოდენ როგორც ამ სოფლის, ისე მახლობელი სოფლის ბავშვები რიცხვით 60-ზე მეტი.

ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, უხაროდათ ის, რომ მათი შვილები წიგნის წაკითხვას მაინც ისწავლიდენ, მაგრამ დღეს რას ვხედავთ? არამც თუ სკოლა, სახლის ნანგრევებიც აღარ სჩანს. შარშან მობრძანდა ბატონი ლადო ხუტაშვილი და მოისურვა შენობის დანგრევა. ხალხი წინააღუდგა, მორთეს ბავშვებმა ტირილი და ზარების რეკა, ქალები გამოცვივდნენ კეტებით, და ბატონიც იძულებული იყო უკან დაბრუნებულიყო. მაგრამ ხუტაშვილმა მაინც თავისი გაიტანა, მან საქმე ხელათ გაიჩარხა, მობრძანდა მილიციონერების თანხლებით და განაცხადა, რომ ადგილობრივ აღმასკომისაგან ნებართვა მაქვს სახლის დასანგრევათო. ხალხი თუმცა ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ რას გახდებოდა შეიარაღებული ბატონის და მილიციის წინაშე? დაანგრიეს ეს მშვენიერი შენობა და წაიღეს, ნაწილი ამ დანგრეული მასალისა გაყიდა სოფელ ზემო-ნიჩბისში, რომელიც დღესაც უყვიათ მყიდველებს, ნაწილი კი თვითონ წაიღო სურვილისამებრ მოსახმარებლათ. კითხვა იბადება, ჰქონდა მას მისი უფლება, რომ დაანგრია ეს ვეებერთელა შენობა, ან ვინ მიჰყიდა მას ეს შენობა დასაქცევათ?

ჩვენ არა გვჯერა, რომ დღევანდელი მუშურ-გლეხური ხელისუფლება ვისმეს ნებას მისცემდეს სკოლის შენობის დანგრევისას. საჭიროა ამ საქმის გამორკვევა ადგილობრივ ისიც კვირადღით, როდესაც ხალხი თავისუფალია მუშაობისაგან.

მუშკორი შხამი.

ვანი (ქუთაისის მაზრა)

ვანის თემი იმყოფება ქუთაისიდან 25—30 ვერსის მანძილზე რიონის ველებში. მეტად ახირებული თვისების არის ეს მდინარე; ხშირ-ხშირად იცვლის კალაპოტს, ამის გამო, ვანის თემის მცხოვრებლები ხშირად მოკლებულნი არიან საშუალებას ფართო ეკონომიური კავშირი დაიჭირონ ქუთაისთან და სამტრედიასთან და გაასაღონ თავიანთი ნაწარმოები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს თემი მისი მეზობელ თემებითურთ მეტად მდიდარი სიმინდით, ხილეულობით, დაფნით და სასოფლო-მეურნეობის სხვა ნაწარმოებით, მაგრამ ყველა ეს საღდება მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე და მუფთად იყიდება.

თემში არსებობს კოოპერატივი, სადაც თავს იყრიან წევრათ გლეხები და მოსამსახურეები, მაგრამ ეს კოოპერატივი ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე უსახსრობის გამო. საჭირო არის ვისგანაც ჯერარს მიაქციონ ყურადღება და კოოპერატივში მოიტანონ გლეხობისათვის აუცილებელი საჭირო საქონელი. არსებობს აქ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა.

ზედა ვანის ტაძარი დანგრეულათ და მის ნაცვლად აგებენ სახალხო სახლს რომელიც დაიტევს 600 კაცამდე. აქური მასწავლებლობა საზოგადოებრივ საქმეებს და საბჭოთა აღმშენებლობას გაურბის, რაც დაუშვებელია.

[illegible]

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

კვირას, 17 აგვისტოს, დღის 12 სათ. დანიშნულია თბილისის ქალ. **მუშკორთა ბიუროს სხდომა „რაბოჩაია პრავდა“-ს რედაქციის დარბაზში.**

დასწრება ყველა წევრების სავალდებულოა.

მუშკორთა საქალაქო ბიურო.

ᲕᲐᲤᲐᲡᲔᲑᲗ ᲐᲡᲔᲗ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ

ზაჰესის ელ-ხაზის ამართველებმა თავისუფლად ამოისუნთქეს მას შემდეგ, რაც მათ მოაშორეს ტარნოვსკი, დიდი სპეცი მჭერმეტყველობაში და მახინაციებში. მის წასვლის შემდეგ ყველაფერი ნელ-ნელა დგება თავის კალაპოტში. ადმინისტრაციასთან განწყობილობა თანდათან სწორდება, მუშაობა მიმდინარეობს ჩქარის ტემპით და ძმურად. ამისთანა წესრიგის დამმყარებელი არის ახალი ჩვენი უფროსი ამხ. კადურინი პავლე ვასილის ძე, რომელთანაც მუშაობა არის სასიამოვნო და ადვილი. მოსვლისთანავე ამხ. კადურინმა შეამჩნია, რომელ ხაზის მართველები არ არიან თავიანთ ცოდნის შესაფერ თანრიგზედ დაყოფილნი, შეადგინა კომისია და გამოცდის შემდეგ ყველას მისცა შესაფერი თანრიგი. მან აგრეთვე შეამჩნია, რომ ელ-ხაზის მართველები სრულებით არ არიან გაცნობილნი საშიშრო დენთან და რადგანაც შემდეგი ელვისო ემყრობა ამ მოხსენებულ დენსა, კადურინმა დაგვაწყობინა შესწავლა საშიშრო დენის. ამისთანა მოპყრობისათვის ჩვენ, ზაჰესის ელ-ხაზის ამართველები უცხადებთ მადლობას ამხ. კადურინს, რომელიც სცდილობს თავის ცოდნის და გამოცდილობის გადაცემას მომავალ თაობისთვის.

ინფ. ხ. ო—ზი.

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ

გთხოვთ განგვიმარტოთ დაინტერესებულ დაწესებულებათა საყურადღებოდ, შემდეგი: წაღვერის, თუ ბორჯომის აღმასკომი ახდევინებს მოაგარაკეებს, განურჩევლად სქესისა, წლოვანებისა და სოციალურ მდგომარეობისა, სულზე ე. წ. **„სააგარაკო“ გადასახადს სამ-სამ მანეთს.** ვინიდან წაღვერში, დასასვენებელ სახლებში მოაგარაკეთა გარეშე, ბევრი არიან პროფკავშირის წევრები, ან მათი ოჯახები, და მათი თბილისის ან სხვა ქალაქების ვაჭარ-მრეწველებთან და ნეპმანებთან ერთ პირობებში მოთავსება ჩემის აზრით არ არის სამართლიანი და არ შეეფერება დღევანდელ სინამდვილეს, ამიტომ გთხოვთ განგვიმარტოთ, არის თუ არა საერთოდ კანონიერი ეს გადასახადი პროფ-კავშირის წევრებზე და მათ ოჯახებზე და თუ არის, უნდა ჰქონდეს თუ არა მას შეღავათი შედარებით მათთან, ვინც წაღვერში მიდიან დასასვენებლად და ჯანმრთელობის გამოსაბრუნებლად კი არა, არამედ დროს მოსაკლავად.

მუშკოოპის თანამშრომელი.

ᲒᲐᲒᲕᲘᲮᲡᲔᲜᲘᲗ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲣᲥᲐᲜᲘ.

(მუშათა-მთლიანი კოოპერატივის საყურადღებოდ).

მე-7-ე უბნის (ელის ძირი რკინისგზის გადაღმა) მცხოვრები მუშები და ღარიბი მოქალაქენი განვიცდით დიდ გაჭირვებას კოოპერატიული დუქნის უქონლობის გამო. აქ არიან კერძო მეფურნეები და ძალიან ცუდ პურს აცხობენ. ამის გამო ჩვენ გვიხდება ავლაბარში ჩასვლა და იქ პურის ყიდვა.

მუშ. მთლ. კოოპერატივს ვთხოვთ აქ გაგვიხსნას კოოპერატიული დუქანი, რომელიც წინედ იყო აქ და ახლა დაკეტილია და აქაური მოსახლეობა დაგვიხსნას ჩარჩ მეფურნეებისგან.

მუშა გამქრელი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲣᲚᲢ-ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ.

ყველას მოეხსენება საერთოდ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კულტგანათლების საქმეს მუშა-მოსამსახურეებს შორის და განსაკუთრებით კი იმ მუშა-მოსამსახურეებში, რომლებიც მოკლებულნი არიან ყოველივე ამას. საბჭოთა მუშაკების კავშირი ფხიზლად სდგას თავის სადარაჯოზე. ჩვენ, № 1 გამსახლის თანამშრომლები, დიდათ მადლიერი ვართ საბჭოთა მუშაკების კავშირის კულტ-განყოფილების, ვინაიდგან ის გვიწევს დიდ დახმარებას, რათა ჩვენ მუშა-მოსამსახურეებში მაგრად მოიკიდოს ფეხი კულტ-შენებამ. დახმარება კავშირის შემდეგში გამოიხატება: ის გვაწვდის მოთხოვნისამებრ უფასოდ წიგნებს პოლიტიკურ პროფმოძრაობის—და ეკონომიურ დარგებიდან და თუ საჭიროება მოითხოვს ფულითაც. ერთი კვირის უკან ადგილკომს ჰქონდა სხდომა, ამ სხდომამ სხვათა შორის დაადგინა სულ მოკლე ხანში მოაწყოს „ლენინიზმის შესასწავლი კუთხე“. ამის მოწყობაში დიდი აქტიური მონაწილეობა მიიღო ხსენებულმა კულტ-განყოფილებამ და სხ.

მუშკორი ა. დ. მათხოჯელი.

„ᲖᲐᲠᲘᲐ ᲕᲝᲡᲢᲝᲙᲐᲡ“ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ.

12 აგვისტოს „ზ. ვ.“ სტამბაში შესდგა ამავე სტამბის საწარმოო სათათბიროს დელეგატთა სხდომა რომელსაც დაესწრნენ: რჟიკომიდან ამხ. რაბინოვიჩი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და დელეგატთა მთელი შემადგენლობა.

სხდომამ თავმჯდომარედ არჩია ამხ. ეგანოვი, მდივნად—ამხ. ცურინოვი.

დღის წეს-რიგში იყო: 1) საწარმოო სათათბიროს ინსტრუქციის განხილვა და 2) ტეხნიკური კომისიის და ბიუროს არჩევნები.

ამხ. რაბინოვიჩის მოხსენების შემდეგ სხდომამ განიხილა ინსტრუქცია, რაიც მიიღო მხედველობაში და სახელმძღვანელოდ.

სხდომამ გამოჰყო დელეგატთა რიცხვიდან ტეხნიკურ კომისიის წევრებად: ამხ. ჩუმაჩენკო, ოსიპოვი, კოტეტიშვილი, ჯაში, კორძაია და ხატისოვი.

დაბოლოს სხდომამ აირჩია წევრებად ბიუროში ხუთი ამხ.: ცურინოვი, მეგრელაძე, ეგანოვი, კოტეტიშვილი და გრიგორიანცი.

აგრეთვე სხდომა ადგენს, რომ გააცნოს მუშებს ბიუროს შემადგენლობა და ახლო მომავალ სხდომაზე ადმინისტრაციის დაავალოს მოხსენების გაკეთება სტამბის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ ვუსურვებთ ბიუროს მტკიცე და ენერგიულ მუშაობას თავის დავალებისამებრ.

მუშკორი ლადო.

ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲡᲞᲔᲙᲣᲚᲘᲐᲜᲢᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲩᲘᲠᲥᲡ ᲡᲮᲕᲐᲡ ᲡᲪᲮᲔᲑᲡ

17 ივლისს სად. მცხეთაში, მატარებლის ჩხრეკის დროს აღმოჩნდა 13 ტიკი ღვინო, რომლის პატრონები აღმოჩნდნენ სამი რკ. გზ. მოსამსახურე. შეშინებულმა სპეკულიანტებმა, არ იცოდნენ რა ეთქვათ და დააბრალეს ვითომ ერთ-ერთის ძმა ადგილკომშია იმან და მისცა ნება მოეტანათ გასაყიდათ ღვინო. სპეკულიანტი გიორგი აზრუმელაშვილი ჩირქს სცხებს ადგილკომის პატიოსან წევრს, ლევან აზრუმელაშვილს, რომელმაც დაიმსახურა ჩვენი სიყვარული. ჩვენ არ მივცემთ ნებას უდანაშაულოთ სახელი გაუტეხონ სპეკულიანტებმა ჩვენ მეგობრებს.

მუშკორი № 21.

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲖᲦᲕᲔᲕ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲡ

გულახდილად ვაცხადებ, რომ ჩვენი დამზღვევი სალაროს გამგეობა ღირსია მადლობისა, რადგანაც ისე პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, რომ ყველა მადლიერია მისი. მთელი ცხრა თვე ვღებულობდი ბავშვის საკვებ რძის ფულს თავის დროზე და სრულიად. ჩვენ უსურვებთ დამზღვევ სალაროს აყვავებას მუშების და მშრომელი ხალხის „საკეთილდღეოთ.

ი. გვენეტაძე.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲝᲠᲝᲢ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ

(ქალ. მილიციის საყურადღებოდ)

ღვინით ვაჭრობის შესახებ ბევრჯერ დავწერეთ, მაგრამ ჩვენს წერილებს ყურადღებას არავინ აქცევს და ღვინის ვაჭრობა ისევ ისე გაჩაღებულია. ის პირები, როგორც მაგალითად (პარკოვის ქ. № 6) დეპოს მუშა ილია ხებრელაშვილი, (მაგისტრალის ქ.) მეჩექმე პარმენ სვანიძე (ბასეინის ქ.) და სიმონა ახალციხელი თავისუფლად განაგრძობენ ღვინით ვაჭრობას. ღვინოს ეტანება მუშა და მთელ თავის ნაოფლარს სარდაფებში სტოვებს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ამხ. ხმალაძემ მიაქციოს თავისი ყურადღება ამგვარ ბოროტმოქმედებას.

მუშა ი. ჯარიეშვილი.

ᲛᲔᲑᲝᲠᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲐᲫᲦᲠᲝᲑᲐ

სად. მეტეხთან მტკვარზე არის გამართული ბორანი, რომლის საშუალებით მრავალი მუშა-ხალხი სარგებლობს სოფლებში გადასასვლელად კვირაობით და შაბათობით კი უდრის 300—400 კაცს. ბორნის მეპატრონეები სარგებლობენ რომ მტკვარზე გადასასვლელი სხვა გზა არ არის და რაც კი შეიძლება მუშა და გლეხ მგზავრს ტყავს აძრობენ და თუ მეტი მიეცი, ხურდას არ იძლევიან.

ახალქალაქის აღმასკომო, მიაქციე შენი ყურადღება ამ ვაჟბატონებს.

მუშკორი მეთვალყურე.

ᲠᲙᲘᲜᲘᲡᲒᲖᲔᲚᲗᲐ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

— **სანიტარულ კურს-დამთავრებულთა გამოცდები.** სანიტარულ წ. კ. უცოდინართა სკოლის კურსდამთავრებულ რკინისგზელებისათვის ახლო ხანში დაინიშნება გამოცდები. მოწვეულნი იქნებიან ყველა დაინტერესებული ორგანიზაციები.

— **ვაგონ-მუზეუმები.** ა. კ. რკ. გზ. ყველა ხაზზე უკვე მუშაობს ვაგონ-მუზეუმები. რკინისგზელებს ეჩვენებათ სხვადასხვა ავადმყოფობის შესახებ კინო-სურათები.

— **ტრამვაი რკ. გზ. სახელოსნოების მუშებისათვის.** მთ. სახელოსნოების ადგილკომმა მიმართა ტფ. საუბ. პროფკავშირს, რათა მან იშუამდგომლოს ტრამვაის დირექციის წინაშე, გასცეს სახელოსნოს მუშებისათვის ერთი სამუშაო ვაგონი, რადგან ეს უკანასკნელი დაშორებულია სახელოსნოს.

— **საშეფო სოფელში.** ტფ. საქონლის სადგურის მუშების საშეფო კომისიამ სოფ. პატარძეულში დაარსა წიგნთსაცავი-სამკითხველო, აღჭურვილი სათანადო წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით.

— **წითელ კუთხეებისათვის.** თბ საუბ. პროფკავშირის კულტ-განყოფილებამ გაგზავნა გორში რკინისგზელთა წითელ კუთხეებისათვის სათანადო წიგნები ქართულ და სომხურ ენებზე.

— **ოლიმპიადა.** სექტემბრის შუა რიცხვებში ა/კ. რკ. გზ. პროფკავშირის კულტ-განყოფილება აწყობს ოლიმპიადას, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს 150 კაცი

— **„ზაკტპოს“ პურის საცხობში.** ლენინის რაიონში არსებული „ზაკტპოს“-ს პურის საცხობში ამ ჟამად შტატი გადიდებულია. მუშაობს 60 კაცი.

ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲛᲮ. ᲛᲣᲨᲔᲑᲡ

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ:

გთხოვთ განმიმარტოთ, თუ რამდენი უნდა გადავიხადო სახლის ქირა. მე ვცხოვრობ ნაძალადევში პოგრანიჩნი შესახ. № 4, ვიღებ ჯამაგირს მე-7-დე ხარისხით 29 მანეთს. ჩემი ოთახის სივრცე უდრის 56 კვად. არშინს. მაქვს ქუხნა, ვსარგებლობ საერთო ბალკონით. შესავალი მაქვს ეზოდან. მასთან გთხოვთ გამაგებინოთ სახლის ქირას გარდა, ჩვენ მოვალენი ვართ თუ არა, რომ გადავიხადოთ ნაგვის გადასაყრელი და მეეზოვის ფული, ან და რაიმე შეკეთების ფული. მუდამ ჩხუბი და ლაპარაკი მოგვდის სახლის პატრონთან ამ საკითხების ირგვლივ.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ:

(ამხ. ხახვიაშვილს).

თითოეულ კვადრატ. არშინზე თქვენ იხდით ნახევარ კაპეიკს, ხოლო **მთელი ბინისას**—28 კაპ. და დამატებით ქუხნით სარგებლობისათვის ბინის ქირის **ერთ პროცენტს.** მეეზოვის ჯამაგირს და ნაგვის გადასაყრელ ფულს იხდის მხოლოდ სახლის პატრონი.

რაც შეეხება სახლის შეკეთებას, ამაზე ძალდატანებას თქვენ ვერარ გაგიწევთ სახლის პატრონი; თუ კი თქვენ თქვენივე სურვილით სახლის შესაკეთებელ ფულს გაიღებთ საკუთარი ჯიბიდან, უფლება გაქვთ ასეთი გამოურიცხოთ მას ბინის ქირიდან.

— **აგურის ქარხნის აღდგენა.** გორის აღმასკომმა გადასწყვიტა დაუყოვნებლივ აღადგინოს გორის აგურის ქარხანა.

— **სატყეო ტეხნიკუმები.** მომავალ სამოსწავლო წლიდან დუშეთის და ბორჯომის მაზრებში გაიხსნება სატყეო ტეხნიკუმები, ტყის მოვლა-მოშენების და დაცვის შესასწავლად.

— **ბორჩალოს მაზრა.** ბორჩალოს მაზრაში ამჟამად გახსნილია 52 წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობი სკოლა, სადაც სწავლობს 2.000 კაცი.

— **სკოლები სოფლად.** სიღნაღის სამაზრო აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა განათ. სახ. კომისარიატის წინაშე, სოფ. მუკუზანში სამეურნეო სასწავლებლის გახსნის შესახებ.

— **საგლეხო სესხი.** საგლეხო სესხის სრული განაღდება ბორჩალოს მაზრაში განზრახულია დასრულდეს 20 აგვისტომდე.

— **სახალხო სახლები სოფლად.** დაბა ჰრებალოში (რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე) ახლო ხანში აგებული იქნება სახალხო სახლი.

— **კახეთის გზა-ტკეცილის შეკეთება.** სიღნაღის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა დაეხმაროს გზატკეცილების მთ. სამმართველოს მაწიმიპიაური-ლაგოდეხის გზა-ტკეცილების შეკეთების საქმეში მიწის მუშაობით და ქვის მოტანით.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲤᲝᲡᲢᲐ

ფოთი ი. კოპალეიშვილს. თქვენი ლექსი უვარგისობის გამო არ დაიბეჭდება.

ახალსენაკი. ბაგრატ უჩანეიშვილს. გაზეთი გეგზავნებათ.

ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

(წერილები რედაქციის მიმართ)

ᲡᲯᲝᲑᲡ ᲒᲕᲘᲐᲜ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა, მენშევიკურ პარტიასთან ყოველივე კავშირი გაწყვეტილი მაქვს. გასაბჭოების შემდეგ არც მიმუშავნია, არც ვმუშაობ და არც ვიმუშავებ ამ პარტიაში, თუ კი ასეთი იქნება სადმე. მე, როგორც ძველმა მუშამ, არ შემიძლია ფანატიკოსი ვიყო და მოვიწონო ის ძველი მუშაობა, რომელიც ბევრი მხრით მიუღებელი იყო.

ჩვენმა მუშებმა დაკვირვებულად უნდა ავწონ-დავწონოთ ის დიდი და თავგანწირული მუშაობა, რომელსაც მუშათა კლასის და გლეხთა მდგომარეობის ასაღორძინებლად აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლება. მუშათა დასაბინავებელი სახლები, საავადმყოფო კასები, გლეხებთან დაახლოება და მათი გაჭირვებული მდგომარეობის შემსუბუქება, რკინის გზების და შარა-გზების ახლად გაყვანა თუ ძველის შეკეთება, ელექტრონულ სადგურების გაშენება, ქალაქის გამშვენიერება და სხვა მრავალი,—თავდებია მუშათა კლასის და გლეხთა მოსახლეობის გაუმჯობესების, მათი წინმსვლელობის.

ასეთ მუშაობის დროს ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს საბჭოთა ხელისუფლებას შეუწყო ხელი და დავეხმარო კოოპერაციას თუ სხვა დაწესებულებებში თანამშრომლობით.

არსენ არჯ. თოდრია.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ჩემ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „კომუნისტი“-ს მახლობელ ნომერში.

მე, თამბაქოს ქარხნის მუშა 1898 წლიდან 1920 წლამდე ვეკუთვნოდი სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და ვასრულებდი მის სხვადასხვა დავალებებს. 1920 წ. მის უგვანო პოლიტიკის და მოქმედების გამო მე იძულებულ ვიქენ ჩამოვშორებოდი მას. ამ ხანს მე დავრჩი უპარტიოდ და ეს დრო საკმარისი იყო ჩემთვის დავრწმუნებულიყავ, რომ კომუნისტური პარტია არის ერთად ერთი ჭეშმარიტი პარტია, რომელსაც მიზნად აქვს დასახული მუშათა კლასის განთავისუფლება მძარცველ ბურჟუაზიის კლანჭებიდან. ამიტომ მე ზურგს ვაქცევ მენშევიკურ პარტიას და მსურს ჩემ ყოფილ ამხანაგებთან ერთად ვიმუშაო საბჭოთა ხელისუფლების გასამტკიცებლად.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.

გაუმარჯოს პროლეტარულ დიქტატურას.

გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა რევოლიუციას.

გიორგი ნაბიჯვრიშვილი.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲘᲐᲠᲣᲚᲘ.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲔᲑᲡ.

12 აგვისტო.

გლეხკომებში წევრებათ შეძლებული პირების დაუშვებლობის შესახებ.

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული და ადგილებზე დაგზავნილი **დებულების, ინსტრუქციების და ცირკულიარების** თანახმად, გლეხთა კომიტეტები უნდა შესდგებოდნენ სოფლის ღლარიბეს და საშუალო მცხოვრებლებისაგან და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყვნენ დაშვებულნი გლეხკომებში წევრებათ სოფლის შეძლებული პირები—(ჩარჩ ვაჭრები, სოფლის „კულაკები“, სპეკულიანტები და სხ.) მიუხედავათ ამისა ხოგან ეს პირები სხვადასხვა საშუალებით ახერხებენ გლეხკომებში შესვლას, რითაც დიდ ზარალს აყენებენ საურთიერთო დახმარების საქმეს.

ამისათვის გთხოვთ გასცეთ განკარგულება რათა სასწრაფოთ იქნას გადასინჯული თქვენს მაზრაში არსებული ყველა გლეხკომების შემადგენლობა და შეტანილი იქნას მიგ შესაფერი გადახალისება.

საქართველოს რესპუბლიკის სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარი

კ. ხ ო მ ე რ ი კ ი.

საქმეთა მმართველი ი. ბ ა ხ ტ ა ძ ე.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ № 21.

1924 წ. აგვისტოს 5-ს.

„წვრილ და შინამრეწველობის სახელოსნოებში, რომელშიაც არის დაქირავებული შრომა, ზაფხულის სეზონში დილის 7 საათიდან მუშაობის დაწყების შესახებ“.

თანახმად მუშათა ორგანიზაციების აღძრულ შუამდგომლობისა, სიცხეების გამო ზაფხულში დილის 7 საათიდან მუშაობის დაწყების შემოღების შესახებ საქ. შრომის სახ. კომისარიატი, თბილისის აღმასკომთან შეთანხმებით ადგენს:

1. იმ წვრილ შინამრეწველობის სახელოსნოებში, რომლებშიაც არის დაქირავებული შრომა, მთელი ზაფხულის სეზონში 1-ლ ოქტომბრამდე მუშაობა იწყება დილის 7 საათიდან—მოზრდილთა, მოზარდთა და მცირეწლოვანთა მუშაობის ხანგრძლივობის შესახებ არსებულ დებულების დაცვით.
2. იმ შინამრეწველობის სახელოსნოებში, რომელშიაც მუშაობასთან ერთად სწარმოებს სახელოსნოს ნაწარმოების გაყიდვა, ვაჭრობა სწარმოებს თბილისის აღმასკომის დადგენილების მიხედვით (დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე).
3. ამა დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნულის თვალყურის დევნება და ცხოვრებაში გატარება ეკისრება შრომის ინსპექტორებს, მეორე პუნქტში აღნიშნულის კი ქალაქის მილიციას.
4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.
5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი იქნებიან მიცემული სათანადო პასუხისგებაში.

საქ. შრომ. სახ. კომისრის მოადგილე

ვ. ბ ე რ ბ ე რ ა შ ვ ი ლ ი.

ქ. თბილისის აღმასკომის თავმჯდომარეს მოადგ. ნ. ი ო რ ა მ ა შ ვ ი ლ ი.

შრომის დაცვის გან. გამგის მაგიერ

ი. გ ო ლ დ მ ა ნ ი.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ 15 აგვისტოს დილის 10 საათზე:

1. პუშკოვი ნიკ. 2. აბინიანი ნიკ. 3. პაპიკიანი მ. 4. მაშჩენკო კ. 5. მაღრაძე გ. 6. ვოზნი ფ. 7. ტარხანოვი. 8. ბაბოტინი მ. 9. მატვეევი.

თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ალექსანდრა მიხეილის ასული გამრეკელისა შვილებით: ნიკოლოზი, გულბაათი, ვახტანგი და დავითი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ა. წ. 15 აგვისტოს 6 ნახ. საათზე, საღამოს გადახდილ იქნება ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე წლის თავზე პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი ქმრის და მამის

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘᲡ

სულის მოსახსენებლათ. 1718 1—1

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ“

(„ᲙᲠᲐᲡᲜᲐᲘᲐ ᲙᲜᲘᲒᲐ“).

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞ. № 8. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 7—54.

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ:

ლ. ლეონიძე—ველოგრაფია ქართ. ენაზე.

ექ. აბაკელია—ტუბერკულოზურ ინფექციის ლიმფატიური გზებით გავრცელების ანატომიურ საფუძვლების საკითხისათვის ქართ. ენაზე.

მიქელაძე და მახვილაძე—კლინიკური ანალიზი ქართ. ენაზე.

გამოცემათა მთავარი საწყობი: თბილისი რუსთაველის პროსპ. № 8. ტელ. 7—54.

წიგნების გამყიდველებს ეძლევათ ჩვეულებრივი შეღავათი.

ნ. 1421 2—1.

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო ამით აცხადებს, რო აგვისტოდან თბილისიდან და 10 აგვისტოდან კარაკლისიდან ინიშ

ᲔᲠᲗᲘ ᲤᲔᲮᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡ-ᲙᲐᲠᲐᲙᲚᲘᲡ ᲮᲐᲖᲐ

№ № 60 და 61 შაბათობით და უქმე დღეების წინ თბილისიდან, ხო კვირაობით და უქმე დღეებში—კარაკლისიდან შემდეგი ცხრილი:

მატ. № 61 თბილისიდან გავა დღის 1 საათ. 35 წ. (შაბათობით და უქმე დღეებ)
კარაკლისში ჩავა—საღამოს—10 საათზე 27 წ.

მატ. № 60 კარაკლისიდან გამოვა სად. 9 ს. და 25 წ. (კვირაობით და უქმე დღეებ)
თბილისში ჩამოვა—დილის 5 ს. და 40 წ.
მეორე დღეს.

ნ. 1419. 1—1.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲨᲔᲜᲔᲑ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ „ᲥᲐᲚᲐᲥᲘ-ᲑᲐᲚᲘ“-Ს ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐᲨᲘ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲐᲓ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲔᲡᲬᲠᲝᲜ ᲐᲛᲮ-ᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ

რომელიც შესდგება 15 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, გამგეობის ბაში, თავისუფლების მოედანი, ქარვასლა ყოფილი თამამშევის მოლენკოს ყოფილი ბინა).

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:

1. გამგეობის მოხსენება.
2. გამგეობის ინსტრუქციის დამტკიცება.
3. ბინების აშენების ვალდებულებათა დამტკიცება.
4. გამგეობისათვის 50 განცალკევებულ სახლის აშენების ნებ
5. „ზაკსოიუზ“-ში შესვლის შესახებ.
6. მიმდინარე საქმეები.

ამხანაგობის გამგეობა ამასთან ერთად სთხოვს ამხანაგობის წე იზრუნონ საწევრო გადასახადის შემოტანისათვის 5 მანეთის რაოდენო და საპაიო გადასახადის 25 მანეთის რაოდენობით—სავსებით ან ნაწილ რივ.

გამგეობა სთხოვს სახელმწიფო, კოოპერატიულ დაწესებულებებ ადგილკომებს გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები ამხანაგობის ცანების გასაცნობად.

ამხანაგობის წევრების ჩაწერა სწარმოებს ყოველდღე 10—2 და 5 საათამდე. ტელ. 18—04.

ნ. 1418 1—1.

გამგეობა.

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲛ ᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝ

„ᲛᲝᲐᲛᲑᲔ“ № 2

(6) ქართულ-რუსულ ენაზე. ამ მერში მოთავსებულია მრავ წერილი ქალაქის მეურნეობის ლა დარგიდან, მათ შორის წ ლი ლ. სუხიშვილისა: „გეგმიანი მუშაობის შესახებ“, ინჟ. ქურდიან „უდიდესი საქმე“ (ბალნეოლოგიური სადგურის აგება), ა. რუხაძისა: „ ლის რეფორმის გატარების პირობები“, ვ. მ—ძისა „კერძო და საზოგა ებრივი სავაჭრო დაწესებულებანი საქართველოს ქალაქებში“, ბერლინ გამოგზავნილი წერილი დ-რ ლანგესი: „გერმანიის კომუნების გადასახ ადები“, ვ. ჯანდიერისა: „წლევანდელი მოსავალი თბ. მაზრაში“, ჰქეინაძისა: „ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის მდგომარეობა“ და ამავე ნომერშია დაბეჭდილი პროექტი დებულებისა თბილისის მ. გ. დ ეპუტატების საბჭოსი. ჟურნალი დიდი ტანისაა, 330 გვერდიანი და 3 მან. იყიდება თბილისის აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილ ოთახი № 66.

ნ. 1417 2—

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ 1 ᲣᲑᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ

ამით აცხადებს, რომ 1923 წ. ივნისის 14 დღესა მის დ წილებით დამტკიცდა აღსასრულებლად გარდაცვალებულის მიხ ალექსანდრეს ძე გედევანოვის იგივე გედევანიშვილი შინაური ნდერძის წერილი, შედგენილი 1917 წ. იანვრის 15 დღესა.

1715 1—

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔ-3—4 ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲐᲦ ᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ Ა. Ა. ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ

ამით აცხადებს, **რომ ის 17 აგვისტოს 1924 წ. დილის 10 ს** იუსტიციის სახალხო კომისარიატის შენობაში სასამართლოს ქ. საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის სხვადასხვა ნახმარ ნივთებს: ხის დგმის), რკინის და ჟესტის ნივთებს, სურათებს ჩარჩოებით, ელ რონის მოწყობილობას, ემალიან აბაჟურებს, სასწორს, თუჯის ლებს, მინებს, ელექტრონის ჰალებს და სხვა წვრილმანებს, **შე ფასებულს 3.805 მან. 39 კაპ.**—სიის გასინჯვა შეიძლება ყოველდღე ლის 8—10 ს. იმავე შენობაში გეგეჭკორის კამერაში.

1716 1—

ექიმ სოკლეტის, გამერტენ შვიდტის და ზილის **ᲙᲔᲤᲘᲠᲘ** გამოკვლევათა მიხედვით და პრიერ იჟუხა ლიმსკის და მეჩნილეს ცდების თანახმად

ხელს უწყობს წონაში მატებას, ითვლება საუკეთესო საშუალებად სისხლ ნაკლულოვანების, კუჭის კატარის, ფილტვის ტუბერკულიოზის საერთო სისუსტის დროს

მიმართეთ თქვენს ექიმს და ის დაგინიშნავთ კეფირის როგორ რი ნორმა უნდა დალიოთ თქვენი ჯანმრთელობის აღსადგენად

მისამართი: ლორის-მელიქოვის ქ. № 6 ი. კორონას ლაბორატორია.

კავშირის წევრებს ეძლევათ განსაკუთრებული შეღავათი

განყოფილება ფუნიკულიორზე და აბასთუმანში

10—9 ნ. 1357

ელექტრონის და სინათლის

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდ ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ᲔᲥ. ᲡᲕᲘᲛᲝᲜ ᲧᲘᲤᲨᲘᲫᲘᲡ** ხელმძღვანელ

ბით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

25

ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ როსტოვის გემო კვების კავშირის მიერ მიცემული საძღოლცხვე წიგნაკი გეორგ მარტიროსიძე ხაჩატურიანცის სახელზე. № 1324. ჩაითვალოს გაუქმებულათ. ქ. 1614. 1—1.

ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ ცოლის პირ. მოწმ. მოცემული მოძრაობის პირველ განყოფილების უფროსისაგან. ჩაითვალოს გაუქმებულად. ნიკოლოზ აბარხაძე. ქ. 1723. 1—1.

ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ პირადობის მოწმობა გაცემული მეორე უბნიდან არჩილ პავლესძე დავითაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. ქ. 1717. 1—1.

ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ მეტრიკული მოწმობა სატენე ბალდასარის ასულის არუთინოვისის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. ქ. 1719. 1—1.

ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ პირადობის მოწმობა ცემული ძველი-სე რაიონის აღმასკომიდან, ვარლამ ჯან სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. ქ. 1721. 1—

ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ სამხედრო აღრიცხვი ბნაკი № 594, მოცე სამტრედიის რაიადგილკომიდან და დობის მოწმობა, მოცემული კულაშის ა აღმასკომიდან, გრიგოლ გაბეჩავას სახე ჩაითვალოს გაუქმებულათ. ქ. 1722. 1—

ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ სამხედრო აღრიცხვის რათა, გაცემული ფ სამხედრო მაგიდის მიერ კონსტანტინე ვითისძე ჭითანავას სახელზე. ჩაითვალ გაუქმებულათ. ქ. 1620. 1—

ᲡᲝᲤ. ᲒᲠᲔᲛᲘᲡᲮᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲤᲘ (დუშეთის მაზრა)

ივლისის 27 გრემისხევში გახსნილ იქნა „საფერშლო-საბებიო“ პუნქტი. 3 აგვისტოს ქ. დუშეთიდან მოვიდენ მაზრაღმასკომის მიერ გამოგზავნილი ამხანაგები: ამირიძე და ბასილაშვილი, რომლებმაც ადგილობრივ გლეხობას გადასცეს ფრიად სასიხარულო ამბავი: „დუშეთის მაზრაღმასკომმა აიღო შეფობა სოფ. გრემისხევზედო, რისთვისაც ადგილობრივ უნდა აირჩიოთ საშეფო კომისიაო“. ხალხი მეტად კმაყოფილი დარჩა და საშეფო კომისიაში არჩეულ იქნენ: ამხ. ლადო ბუზალაძე, ამხ. მიხო ბადაგაძე და ამხ. კოლა გოძიაშვილი. ამავე ამხანაგებმა გადასცეს გლეხობას, რომ შეფის მიერ ამ თავითვე იხსნება სოფელში სამკითხველო, გადმოაქვს პურის საკეთებელი მანქანა ტრიერი და ყველის საკეთებელი მანქანა. აგრეთვე შეპირდენ, რომ შეფი ამ ახლო მომავალში გახსნის კოოპერატივს, გადმოგზავნის აგრონომს, რომელიც მოაწყობს საცდელ-საჩვენებელ მინდორს. გახსნილ იქნება—კლუბი, თეატრი და აგრეთვე განახლებულ იქნება იმ გზის გაყვანა, რომელიც ამ ორი წლის წინად კეთდებოდა.

იმედია შეფი თავის დაპირებას შეასრულებს და ჩვენი სოფლის კულტურულ-ეკონომიურ წინსვლას ხელს შეუწყობს.

ნ. ლარიბაშვილი.

ᲢᲝᲑᲐᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲗᲔᲛᲘ (ქუთაისის მაზრა)

ტობანიერის თემში არსებობს რვა წლიანი შრომის სკოლა, რომელიც ბინის უქონლობის გამო ვერ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული. მეცადინეობა სწარმოებს დილას და საღამოს (ნაწილი მოწაფეთა მეცადინეობს დილით და ნაწილი საღამოობით), რაც, მიუხედავათ მასწავლებელთა ენერგიული მუშაობისა, მაინც ძლიერ აფერხებს აღზრდის საქმეს. უმეტესად ზამთრობით, როცა დღე პატარა არის და მოწაფეები ვერ ასწრებენ შორეულ კუთხიდან ადრე მოგროვებას.

არსებული ხის შენობები მოითხოვენ კაპიტალურ რემონტს. ამის მიხედვით და რომ ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილიყო საკითხი ბინის შესახებ, გასულ 1923 წელში თავისი სურვილით და ქუთაისის სამაზრო აღმასკომის ნებართვით თემმა დაიწყო აგება ორ სართულიანი აგურის შენობის 38 საკლასო ოთახებით. შეიძლება მკითხველს გაუკვირდეს რათ იყო საჭირო ასეთი უზარმაზარი შენობა თემისათვის? მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში მოწაფეთა რიცხვს და გადავათვალიერებთ სკოლის გარეთ დარჩენილთა რიცხვსაც, ყველა დარწმუნდება, რომ ეს შენობა თემისათვის წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას.

გასულ წელში დამთავრებულია ნაწილი სამუშაოსი, დამზადებულია ნაწილი კარ-ფანჯრების, შეძენილია და დამზადებულია ნაწილი ხის მასალის. მიმდინარე წელში მუშაობა რამოდენიმედ შეაფერხა აგურის უქონლობამ, მაგრამ ეხლა ნაწილი უკვე დამზადებულია და ამ დღეებში შეუდგებიან შენებას.

წასულ კვირაში შენობა დაათვალიერა ქუთაისის სამაზრო აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ, რომელიც ძლიერ კმაყოფილი დარჩა და აღუთქვა დახმარებისათვის შუამდგომლობის აღძვრა. გლეხობა ამ საქმეში იჩენს დიდ ენერგიას და გვერდში უდგია ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელს, მაგრამ მას, გლეხობას, უჭირს ამ შენობის დამთავრება და ხშირად გაიგონებთ მათგან „არ დაგვეხმარებიან განა ამ საქმეში“.

შუამდგომლობა უკვე აღძრულია და თემი იმედს გამოსთქვამს, რომ ამ დიად მნიშვნელოვან საქმეში მას მთავრობა დაეხმარება.

ტობანიერის თემიდან სხვადასხვა ქალაქებში გასული არიან ადგილობრივი მკვიდრნი და კარგია მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში შემოწირულებათა მოგროვებით.

ვ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ

ეს სასწავლებელი არსებობს ქალაქის ისტორიულსა და თვალსაჩინო უბანში, ე. წ. ცნობილ უქიმერიონის ბორცვზე, ბაგრატის ტაძრის ნანგრევების წინ, აღმოსავლეთით. იგი მოთავსებულია ყოფილი სასულიერო სასწავლებლის სამსართულიან სპეციალურად აგებულს ქვის შენობაში. სასწავლებელში სულ 24 ოთახი არის. რვა საკლასო ოთახი უკავია შვიდწლედს, ორი—ბერძენთა განყოფილებას, ზედა ორი სართულის დანარჩენი ოთახები უკავია ფიზიკურ კაბინეტს, ბიბლიოთეკას, სამასწავლებლოს კანცელარიას, გამგის ბინას, სამზარეულოს საკუჭნაოს და სადარაჯოს; მესამე სართულის დასავლეთ ნაწილში წელს მოწყობილ იქნა სცენა; დაბლა სართული მოწყობილია ვარჯიშობისათვის, თან იქვე არის სკოლის ავეჯეულობის საწყობი; შენობა დახურულია თუნუქით. სასწავლებელს აქვს არქივი, სადაც ინახება საქმეები 1824 წლიდან დაწყებული დღემდი. სასწავლებლის თეთრად გა ესი ი შენობა გადასცქერის ისტორიულ მდინარეს ფაზისს და მთელ ქუთაისს; აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხრით 15—20 ვერსის მანძილზე მდებარე სოფლებიდან შენობა დიდებულად მოჩანს.

ჰაერი აქ მეტად საღია, მხოლოდ ერთი დიდი ნაკლი აქვს ამ სასწავლებელს; სასმელი წყალი შორს არის მიუხედავათ იმისა, რომ ეს სასწავლებელი მთელი 90 წლის განმავლობაში მეფის ტახტის გასამაგრებლად ზრდიდა მოხელეებს, ამ ხნის განმავლობაში მას მაინც მრავალი კულტურული და პოლიტიკური მოღვაწეთათვის მიუცია ელემენტარული განათლება; დღეს ბევრს უჭირავს საბჭოთა საქართველოში საპატიო და პასუხსაგები ადგილები.

სასწავლებელი ამ ჟამად მეტად ცუდ მდგომარეობაშია; სხვას რომ თავი დავანებოთ, თუნუქის სახურავი ისე დაცხრილულია, რომ 500 მანეთი მაინც დასჭირდება შესაკეთებლად.

ამ ზამთარში მოელის ჭერის ჩამონგრევა წვიმისა და თოვლის წყალისაგან. ამის შესახებ რამდენჯერმე აღძრულ იქნა შუამდგომლობა ადგილობრივ აღმასკომის წინაშე, მაგრამ ყოველთვის უარით გამოგვისტუმრეს.

სასწავლო მთავრობას და აღმასკომს თუ არ შეუძლია ამ შენობის შეკეთება, უბნის ღარიბი მცხოვრებლები რომ დავებეგროთ, შეუძლებელია. მაშ როგორ და რით ვუშველოთ საქმეს?! ისევ უნდა მივმართოთ იმ პირთ, რომელთაც აქ მიუღიათ პირველ-დაწყებითი ცოდნა და დღეს თვალსაჩინო ადგილები უკავიათ: დაიბეგრონ თავიანთი თავი და მოვაწოდონ შეწირულება შეძლებისადაგვარათ ამ ისტორიული სასწავლებლის სახურავის შესაკეთებლად, ვინაიდან სასწავლებლის არსებობის ასი წლის თავისათვის მოელოდა.

სასწავლებლის გამგე ლადო ბზვაწელი.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

— **ფართლეულობა გლეხობისათვის.** ზუგდიდის სამაზრო გლეხკომმა გლეხებისათვის შეღავათიან ფასებში დასარიგებლად თბილისში შეიძინა 10.000 მ. ფართლეულობა.

— **გლეხთა სახლი.** ზესტაფონში ადგილობრივ გლეხკომმა გახსნა გლეხთა სახლი, რომელთანაც მოწყობილია კლუბი, სამკითხველო და ღამის გასათევი ბინები ჩამოსულ გლეხებისათვის.

— **წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა.** ოზურგეთის მაზრაში ამჟამად არსებობს 14 წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი სკოლა, სადაც წერა-კითხვას სწავლობს 519 კაცი.

— **სამკურნალო პუნქტები სენაკის მაზრაში.** სენაკის მაზრაში ამჟამად გახსნილია 13 სამკურნალო პუნქტი, მათ შორის 2 საფერშლო პუნქტია და ერთი ქალაქის ამბულატორია.

— **ციებ-ცხელება სამეგრელოში.** ამჟამად სამეგრელოში ციებ-ცხელებამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. 90 პროც. მცხოვრებლებისა დაავადებულია ციებ-ცხელებით.

ტირაჟი—13.500

სტამბა „ზარია ვოსტოკა“, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.